



**ბენიამინ (ბენია)  
ჩხიკვიშვილი**

**BENIAMIN (BENIA)  
CHKHIKVISHVILI**

**1880-1924**



# ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი

## BENIAMIN (BENIA) CHKHIKVISHVILI

1880-1924



2020

**ალბომის ავტორი:** ირაკლი მახარაძე / Author of the Album: Irakli Makharadze

**ალბომის რედაქტორი:** ანტონ ვაჭარაძე / Editor of the Album: Anton Vatcharadze

**დიზაინერი:** ნატა ყუბანეიშვილი / Designer: Nata Kubaneishvili

**ქართული ტექსტის რედაქტორი:** ესმა მანია / Editor of Georgian text: Esma Mania


**ინგლისური ტექსტის რედაქტორი:** მეგი ქარცივაძე / Editor of English text: Megi Kartsivadze

ISBN: 978-9941-8-2176-9



მემორიალური ალბომი მომზადებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს ფინანსური მხარდაჭერით. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

Creation of the Memorial Album was possible with the generous support of the Swedish International Development Cooperation Agency, Sida. Responsibility for the content rests entirely with the creator. Sida does not necessarily share the expressed views and interpretations.



## შინაარსი / CONTENTS

მადლობა .....	4
ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი.....	5
დოკუმენტები და ფოტოები 1880-1921 .....	42
დოკუმენტები და ფოტოები 1921-1924 .....	112
ბიბლიოგრაფია .....	144
Acknowledgements.....	4
Beniamin (Benia) Chkhikvishvili.....	5
Documents and Photos 1880-1921.....	42
Documents and Photos 1921-1924.....	112
Bibliography.....	144

### **მადლობა!**

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ შემდეგ დაწესებულებებს და პიროვნებებს:  
საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას მემორიალური ალბომის გამოცემაში მხარდაჭერისთვის.  
საქართველოს ეროვნულ არქივს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივს დოკუმენტების და ფოტოების მოწოდებისთვის.  
ბენიამინ ჩხიკვიშვილის შთამომავლებს: ქალბატონ ეკა ჩხიკვიშვილს და ბატონ გივი ბოლქვაძეს, ფოტოებისა და სხვა მასალის მოწოდებისთვის.  
ქალბატონ ესმა მანიას, ქართული ტექსტების გამართვისა და სრულყოფისათვის.  
ისტორიკოს გიორგი მამულიას, გამოცემის მომზადებისას სასარგებლო რჩევებისთვის.  
საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მკვლევრებს და ისტორიით დაინტერესებულ ყველა პირს.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

26 მაისი, 2020 წელი

### **Acknowledgements**

We would like to express gratitude toward the following institutions and individuals:  
The National Parliamentary Library of Georgia for the publication of the Memorial Album.  
The National Archives of Georgia and the Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia for the provision of archival documents and photos.  
Descendants of Benjamin Chkhikvishvili: Ms. Eka Chkhikvishvili and Mr. Givi Bolkvadze, for providing photos and other materials.  
Ms. Esma Mania, for perfecting Georgian texts.  
For the support and helpful advice of a historian, Giorgi Mamulia.  
Researchers of the First Democratic Republic of Georgia and all those interested in history.

Institute for Development of Freedom of Information (IDFI)

May 26, 2020



ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გურულები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით ეს გამოიხატა XX საუკუნის დასაწყისში, როცა რუსეთის იმპერიას რევოლუციურმა გრიგალმა გადაუარა და ისევე როგორც, ფაქტობრივად, ყველგან, საქართველოშიც გაჩაღდა რევოლუციური კერები. ამ პერიოდში რუსეთში შეიქმნა კრასნოიარსკის, ლიუბოტინის, ნოვოროსიისკის, ჩიტას, სოჭის, ხოლო საქართველოში – ნაძალადევის, გორის, ჭიათურის, ყვირილის, ზუგდიდის და სხვა ე.წ. „რესპუბლიკები“, რომელთაც სულ მცირე ხნით იარსებეს. მაგრამ არც ერთ რესპუბლიკას არ ღირსებია ისეთი საყოველთაო ყურადღება, როგორც გურიის რესპუბლიკას.

ათასცხრაასიანი წლების დასაწყისში პირველი გამოსვლა, რომელიც შემდეგ რუსული მთავრობის სანიანაღმდეგო შეიარაღებულ წინააღმდეგობაში გადაიზარდა, დაიწყო 1902 წლის მაისში, გურიის სოფელ ნიგოეთში, მემამულე მაჭუტაძეებისა და ადგილობრივ გლეხთა დიდი შეტაკების შემდეგ. გლეხები სტიქიურად გამოვიდნენ საძოვრებზე დავის გამო. ნიგოეთელ გლეხთა გამოსვლის ამბავი სწრაფად მოედო მთელს გურიას და მათ სხვა სოფლებიც შეუერთდა.

სამიოდე წელში გურიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საბოლოოდ ე. წ. „გურიის რესპუბლიკად“ ჩამოყალიბდა. ოცნება, რომელიც რუსული ინტელიგენციის რამდენიმე თაობამ ვერ აისრულა, საქართველოში

In the different periods of the history of our country, Guria played an important role in the public and political life of the country. This was most evident in the beginning of the XX century when the Russian Empire was stormed by the revolutionary waves similarly to the other places and the revolutionary movements also emerged in Georgia. During this period Krasnoyarsk, Liubotyń, Novorossiysk, Chita and Sochi so-called “republics” were established in Russia and Nadzaladevi, Gori, Chiatura, Kvareli, Zugdidi, etc. short-lived “republics” – in Georgia. However, none of these republics have attracted so much as attention as the Republic of Guria.

The first demonstration in the early 1900s, which then transformed into the armed rebellion against the government, began in May 1902, in the village of Guria, Nigoeti,



**გურული რევოლუციონერები:**

ბენია ჩხიკვიშვილი, ისიდორე რამიშვილი, ფილიპე მახარაძე და სხვები 1900-იან წლებში. მოგვიანებით მათი გზები გაიყო და ფილიპე „ბოლშევიკი“ გახდა, ხოლო ისიდორე და ბენია „მენშევიკების“ ლიდერებად ჩამოყალიბდნენ.

**Gurian Revolutionaries:**

Benia Chkhikvishvili, Isidore Ramishvili, Philipe Makharadze and others in the 1900s. Later they were separated and Philipe became a “Bolshevik”, and Isidore and Benia became leaders of the “Mensheviks”.

ფოტო ინტერნეტიდან  
Photo from the Internet

ახდა. გლეხთა ფართო მასებში რევოლუციურმა შეგნებამ გაიღვიძა და გურიამ რევოლუცია განახორციელა – ფაქტობრივად, გათავისუფლდა მეფის მთავრობის ზეგავლენისგან. მალევე გლეხთა მოძრაობის საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ითავა. დაარსდა „გლეხთა კომიტეტები“, რომლებიც თავიდან მხოლოდ ბოიკოტს აცხადებდნენ და იფიცებოდნენ, შემდგომში კი ქმნიდნენ საკუთარ ადმინისტრაციებს, სასამართლოებს (მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ცნობილი იტალიელ პოლიტიკოსსა და მოგზაურთან ლუიჯი ვილარისთან საუბარში განაცხადა, რომ გურული სასამართლო „მართლმსაჯულებას ბევრად უფრო პატიოსნად და ეფექტიანად ახორციელებს, ვიდრე სახელმწიფო სასამართლოები“<sup>[1]</sup>), იარაღის სახელოსნოებს, სტამბებს, განაგებდნენ სასკოლო განათლებას, აწესებდნენ გადასახადებს, ფასებს და სხვა. კომიტეტები აუქმებდნენ მეფის რუსეთის ადმინისტრაციულ ერთეულებს და თვითონ იღებდნენ ხელში ძალაუფლებას.



**გურული რევოლუციონერები:**

იაგორ ბოლქვაძე, ბენია ჩხიკვიშვილი, გიორგი შილაკაძე 1900-იანი წლებში

**Gurian Revolutionaries:**

Iagor Bolkvadze, Benia Chkhikvishvili, Giorgi Shilakadze in the 1900s


**ფოტო ინტერნეტიდან**

Photo from the Internet

after the clashes between the landowners Machutadze and local peasants. The peasants came out in the streets due to the heated argument over pastures. The information about the Nigoeti peasants quickly spread in whole Guria and the other villages also joined them.

In just three years, the Peasants' Movement finally transformed into the so-called Republic of Guria. The dream, which for several generations of Russian intelligentsia had not come true, came true in Georgia. The revolutionary consciousness woke up among peasants and the revolution happened in Guria – basically, now Guria was free from the influence of the Tsar. Soon, the Social-Democratic Party of Georgia took the lead of the Peasant's Movement. Peasants' committees were established, that, in the beginning, only used to set up a boycott and strike and then started establishing their administrations, courts (Viceroy Vorontsov-Dashkov told Luigi Villari, famous Italian politician and traveler, that Gurian courts had a much fair and effective court system than the state courts<sup>[1]</sup>), weapons forge, publishing houses, administering school education, imposing taxes, prices, etc. The committees abolished Tsarist administrative institutions of the villages and took the lead of all the governing issues.

In 1904, the Viceroy of the Caucasus wrote in the report sent to St. Petersburg: "I will not exaggerate if I say that Gurians are in the vanguard of the revolutionary movements in the Caucasus. Since the beginning of 1904, they have aimed to implement the ideas of democratic class equality, abolish capitalism and change the existing order through fear, violence and terror". Later, one of the founders and organizers of the movement, a social-democrat born in village Atsana, Grigol Uratadze announced with pride that



გრიგოლ ურატაძის  
ჟანდარმერიის ბარათი,  
1900-იანი წლები

Genderme card of Grigol  
Urataдзе,  
1900s

დაცულია საქართველოს  
ეროვნულ არქივში  
Preserved at the National  
Archives of Georgia

1904 წელს კავკასიის მეფისნაცვალ პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებაში წერდა: „არ გადაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ გურულები არიან მთელს კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის განვითარების ავანგარდში. მათ 1904 წლის დასაწყისიდან მიზნად დაისახეს თავიანთი სოციალ-დემოკრატიული კლასთა თანასწორუფლებიანობის იდეების ცხოვრებაში გატარება, კაპიტალიზმის განადგურება და არსებული წესწყობილების შეცვლა დაშინების, ძალმომრეობის და ტერორის სახით“. ის, რომ მოხსენებაში არაფერი იყო გადაჭარბებული, – მოგვიანებით სიამაყით აცხადებდა აცანაში დაბადებული ცნობილი სოციალ-დემოკრატი გრიგოლ ურატაძე, მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.<sup>[2]</sup>

nothing was exaggerated in the report.<sup>[2]</sup>

The whole Russian revolutionary movement talked about Guria. Famous Russian writer, Lev Tosloty, who was a careful advocate of peaceful, “vegetarian” revolution, called Gurians the vanguard of the Russian revolution<sup>[3]</sup>. The Gurians did not consider Tolstoy’s teachings, which meant the implementation of his religious-moral ideas – impossibility to resist evil through violence and passive resistance. His doctrine, in this case, was far from reality and the Gurians decided to use violence to gain independence when there no other choice was left.

Finally, the Gurian rebels did not manage to resist the huge police state alone and were



გურიის შესახებ მთელი რუსული რევოლუციური მოძრაობა ალაპარაკდა. „ფრთხილმა, უსისხლო, „ვეგეტერიანული“ რევოლუციის მქადაგებელმა მწერალმა, ლევ ტოლსტოიმ გურულებს „რუსული რევოლუციის ავანგარდი“<sup>[3]</sup> უწოდა. გურულებმა არ გაითვალისწინეს ტოლსტოის შეგონებანი, რომელიც გურიის მოძრაობაში ხედავდა საკუთარი რელიგიურ-ზნეობრივი სწავლების - ძალადობით ბოროტებისადმი წინააღმდეგობასა და პასიურ დაუმორჩილებლობას - პირდაპირი მნიშვნელობით განხორციელებას. მისი დოქტრინა ამ კონკრეტულ შემთხვევაში შორს იდგა რეალობისაგან და გურულებმა ყველა რესურსი რომ ამონერეს, გადანყვიტეს ძალისმიერი მეთოდებით მოეპოვებინათ საკუთარი თავისუფლება და მომავალი.

საბოლოოდ, გურულმა მემბოხეებმა ვერ შეძლეს უზარმაზარ პოლიციურ სახელმწიფოსთან მართო გამკლავება და დამარცხდნენ, თუმცა გურიის რესპუბლიკა იყო უნიკალური მოვლენა გლეხთა მოძრაობის ისტორიაში, როგორც რუსეთის იმპერიაში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გურიის რესპუბლიკას პარიზის 1871 წლის კომუნას<sup>1</sup> ადარებდნენ.<sup>[4]</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ პარიზის კომუნამ დაახლოებით ათი კვირა იარსება, გურიის რესპუბლიკამ კი – ბევრად მეტი. იმის გამო, რომ პარიზი ევროპის შუაგულში მდებარეობდა, ეს ამბავი ფართო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, გურიის რესპუბლიკა კი – უმთავრესად სპეციალისტების ვიწრო წრისათვის.

1. პარიზის კომუნა – თვითგამოცხადებული სოციალისტური მთავრობა, რომელიც პარიზს მართავდა 1871 წლის 18 მარტიდან 28 მაისამდე. 21 მაისიდან საფრანგეთის რეგულარულმა არმიამ კომუნას მოუწყო ე.წ. „სისხლიანი კვირა“ და მათი გამოსვლა ჩაახშო.

defeated, but the Republic of Guria was the unique event in the history of Peasants' Movement in the Russian Empire as well as worldwide. The Republic of Guria was often compared<sup>[4]</sup> to the Paris commune of 1871<sup>1</sup>. Also, it is notable that Paris commune lasted only for approximately 10 weeks while the Republic of Guria existed for a longer period. Due to the fact that Paris is located in the heart of Europe, this is a well-known story while only a small circle of specialists has information about the Republic of Guria.


**The Republic of Guria has its president – Benjamin (Benia) Chkhikvishvili. He was also called “the King of Guria”.**

Benia Chkhikvishvili was born on 18 January 1880 in the village Sakvavistke, in the family of poor nobleman. He had five sisters and one brother. Benia studied at the Agricultural School of Kutaisi from which he was expelled as a student of final year in 1900 due to his participation in the illegal publication. At school, he became acquainted with the social-democratic teachings, he was a member of an illegal circle and had close connections with the members of the Third Socialist Group (“Mesame Dasi”) from Kutaisi.

Benia is said to have lived at the resettled prince Constantine of Oldenburg's<sup>2</sup> house and he became too close with him. The legend says that when the prince decided

1. Paris Commune - The self-proclaimed socialist government which ruled Paris from March 18 to May 28, 1871. From May 21, so-called “Bloody Week” - final assault by the French Armed Forces was launched that ended the Paris Commune.

2. Prince Constantine of Oldenburg (1850-1906) – High ranking military official of the Russian Empire who since the 1880s lived and worked in Kutaisi and then in Abkhazia.



**გურიის ეპარქიის სოფელ ციხის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის მეტრიკული წიგნი, 1880 წელი**

ბენიამენ ჩხიკვიშვილი  
 დაბადება - იანვრის 15, ნათლისღება - იანვრის 22  
 წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი მშობელთა და რომლისა სარწმუნოებისა არიან - ამავე სოფლისა მცხოვრები აზნაური გიგო ბეჟანის-ძე ჩხიკვიშვილი და სულიერი ცოლი მისი ნატალია კაციას ასული, ორნივე მართლმადიდებლისანი არიან  
 ბენია მონათლეს იმავე სოფლის ბლალოჩინმა (დეკანოზმა) მღვდელმა, იესე პორფირეს-ძე ცინცაძემ და კეკელიძემ  
 ნათლობის საიდუმლო აღასრულეს მღვდელმა სოფრომ კეკელიძემ და დიაკონმა მაქსიმე ცინცაძემ

**The parish record of Guria eparchy, the village Tsikhe, 1880**

Beniamen Chkhikvishvili  
 Birth – January 15, Baptism – January 22  
 Parents: Living in this village, nobleman Gigo Chkhikvishvili and his wife, Natalia Katsias daughter, both in an orthodox faith.  
 Benia was baptized by the priest Blagochin (Dean) of the same village, Iese Tsintsadze and Kekelidze  
 The sacrament of baptism was performed by the priest Sophrom Kekelidze and the deacon Maxime Tsintsadze



**გურიის რესპუბლიკას საკუთარი ჰყავდა პრეზიდენტიც - ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი. მას „გურიის მეფესაც“ უწოდებდნენ.**

ბენია ჩხიკვიშვილი დაიბადა 1880 წლის 18 იანვარს, სოფელ საყვავისტყეუში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. მას ჰყავდა ხუთი და და ერთი ძმა. ბენია სწავლობდა ქუთაისის სამეურნეო სკოლაში, საიდანაც 1900 წელს, არალეგალურ გამოცემაში

to go back to Germany, he asked Benia Chkhikvishvili to go with him but this did not happen. As a sign of their friendship, the prince gave him a car (Ford) and cabinet as a present. It is unknown what has happened to the car but the cabinet was confiscated by the Bolsheviks. Benia’s wife described the cabinet in details in her letters to the Communists, hoping that she would be able to return her property.<sup>[5]</sup>

მონაწილეობისათვის, დამამთავრებელი კლასიდან დაითხოვეს. სკოლაში ის გაეცნო სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას, მონაწილეობდა მონაფეთა არალეგალურ წრეში და მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქუთათურ მესამედასელებთან.

გადმოცემით, ბენია დროებით მუშაობდა ქუთაისში გადასახლებულ პრინც კონსტანტინე ოლდენბურგელთან<sup>2</sup> და ძალიან დაუახლოვდა მას. როცა პრინცმა გერმანიაში დაბრუნება დააპირა, წაყოლა სთხოვა ჩხიკვიშვილს, თუმცა ასე არ მოხდა. მეგობრობის ნიშნად, ოლდენბურგელმა პრინცმა მას მანქანა (ფორდის მარკის) და კაბინეტი აჩუქა. მანქანის ბედი უცნობია, ხოლო კაბინეტი ბოლშევიკებმა ჩამოართვეს. კაბინეტი ზედმინევით აქვს აღწერილი ბენიას მეუღლეს განცხადებებში, რომლებსაც თავისი ქონების დაბრუნების იმედით სწერდა საბჭოთა ხელისუფლებას.<sup>[5]</sup>

სკოლიდან დათხოვნის შემდეგ, ბენია ორი წლის განმავლობაში მასწავლებლობდა სამრევლო სკოლაში სამეგრელოში, სადაც კარგ მასწავლებლად ითვლებოდა. 1902 წელს ქუთაისში გაიმართა დასავლეთ საქართველოს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსები. ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიან წინადადებით ჩხიკვიშვილი მოუწოდებდა მასწავლებლებს, მხარი დაეჭირათ გლეხთა მოძრაობისათვის, რომელმაც გურიაში იფეთქა, რათა სხვა მამრებში მისი გავრცელებისათვის ხელი შეეწყოს. ის დაასმინეს თედო

After he was expelled from school, Benia worked as a teacher at one of the parochial schools in Mingrelia where he was considered to be a good teacher. In 1902, teaching courses of the parochial schools of Georgia were held in Kutaisi. Chkhikvishvili called for the teachers to support the Peaseants' Movement, which had already started in Guria, to spread it to the other districts as well. Tede Zhordania<sup>3</sup>, who was leading the courses, was informed about his activities and he was immediately expelled from the school. After this, Benia went to Chiatura where he worked at the coal (black stone) mine.<sup>[6]</sup>

According to his contemporaries, Benia was an extraordinary, radical, quick-tempered person who usually caused problems due to his character. In Autumn 1920, Chkhikvishvili, Valiko Jugheli, Valodia Gogvadze, Bictor Tevzaia and Tede Ghlonti had a feast at the restaurant. When they got drunk, they made a toast to the members of the government and the leader of the Second International, Karl Kautsky.<sup>4</sup> Tede Ghlonti did not like this and called them “the traitors of the motherland” and “the agents of the western capitalists”. Then the fight started during which Benia beat the socialist-federalist opponent, Tede Ghlonti.

At first glance, there was an impression that Benia had harped on the federalists – he had another widely known fight with another member: on 1 February 1921, a few weeks before the occupation, Benia and Shalva Nutsubidze had a dispute at the

2. პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგელი (1850-1906) – რუსეთის იმპერიის სამხედრო პირი და მაღალჩინოსანი, რომელიც 1880-იანი წლებიდან ქუთაისში, შემდეგ კი აფხაზეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

3. თევდორე (თედო) ჯორდანია (1854-1916) - ისტორიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

3. Tevdore (Tedo) Zhordania (1854-1916) - Historian, teacher and public figure.

4. Karl Kautsky (1854-1930) - Marxist theoretician, the leader of Social-Democratic Party. He was an international ally of Georgia. These words belong to Kautsky – “I feel closer to the Georgian Social-Democratic Party than to the Socialist Party in Europe”. After his visit to Georgia, he created works on the implementation of Social-Democratic model. He opposed the Soviet model and criticized Lenin.

ჟორდანიასთან<sup>3</sup>, რომელიც კურსებს ხელმძღვანელობდა და დაუყონებლივ დაითხოვეს მასწავლებლობიდან. ამის შემდეგ ბენია გაეშურა ჭიათურაში, სადაც მუშაობა დაიწყო შავი ქვის მადარობში.<sup>[6]</sup>

თანამედროვეთა გადმოცემით, ბენია იყო არაორდინალური, რადიკალური, ფეთქებადი და ფიცხი, ხშირად თავისი ხასიათით პრობლემებსაც ქმნიდა. 1920 წლის შემოდგომაზე (მოვლენებს ცოტა წინ რომ გავუსწროთ), რესტორანში ქეიფობდნენ ჩხიკვიშვილი, ვალიკო ჯუღელი, ვალოდია გოგუაძე, ბიქტორ თევზაია და თედო ღლონტი. შეზარხოშებულებმა თურმე დალიეს მთავრობის წევრების და მეორე ინტერნაციონალის ლიდერის, კარლ კაუცკის სადღეგრძელო<sup>4</sup> [7]. თედო ღლონტს ეს არ მოეწონა და სუფრის წევრებს „სამშობლოს მოღალატეები“ და „დასავლეთის კაპიტალისტების აგენტები“ უწოდა. ატყდა ჩხუბი, რომლის დროსაც ბენიამ სოციალისტ-ფედერალისტი ოპონენტი ღლონტი სცემა.

ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბენიას თვალში ჰყავდა ამოღებული ფედერალისტები - მეორე გახმაურებული ჩხუბი მას პარტიის კიდევ ერთ წევრთან მოუვიდა: 1921 წლის პირველ თებერვალს, ოკუპაციამდე რამდენიმე კვირით ადრე, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში ბენია და შალვა ნუცუბიძე შელაპარაკდნენ, რის

4. კარლ კაუცკი (1854-1938) - მარქსიზმის თეორეტიკოსი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ინტერესების დამცველად გვევლინებოდა. სწორედ კაუცკის ეკუთვნის სიტყვები „საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მე უფრო დაახლოებულად ვგრძნობ თავს, ვიდრე რომელიმე სოციალისტურ პარტიასთან ევროპაში“. საქართველოში ვიზიტის შედეგად, მან შექმნა ნაშრომები სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური მოდელის განხორციელების შესახებ. დაუპირისპირდა საბჭოთა მოდელს და აკრიტიკებდა ლენინის ხედვებს.



**შალვა ნუცუბიძე**

**Shalva Nutsubidze**

დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში Preserved at the National Parliament Library of Georgia

Constituent Assembly of the Republic of Georgia, then Chkhikvishvili hit the fist into Shalva Nutsubidze’s eye and took his hand to a revolver. Samson Dadiani and Nikoloz Eliava stopped Chkhikvishvili. Nutsubidze grabbed a chair and threw it but it did not hit Benia. On the next day, a students’ demonstration was held at which Shalva Nutsubidze’s physical assault was condemned. The students expressed their hope that the Constituent Assembly would give an appropriate response to the undeserving member. The Social-Federalist fraction submitted a proposal to the Presidium to suspend a membership to Benia Chkhikvishvili. According to the Social-Federalists, Chkhikvishvili insulted an honor of the Assembly. Articles supporting Shalva Nutsubidze were published in Social-Federalist newspaper “Sakhalkho Sakme”, in which Benia Chkhikvishvili’s behavior was condemned.

Finally, this case did not proceed, because after the Sovietization of Georgia, nobody remembered about the Chkhikvishvili-Nutsubidze dispute. However, when one part of the Social-Federalists began active

შემდეგაც ჩხიკვიშვილმა მუშტი დაარტყა შალვა ნუცუბიძეს თვალში და ხელი რევოლვერისკენ წაიღო. ჩხიკვიშვილი გააკავეს, ხოლო ნუცუბიძემ ხელი სტაცა და ისროლა სკამი, რომელიც ბენიას აცდა.

მეორე დღეს თბილისში გაიმართა სტუდენტთა დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმაც დაგმეს დამფუძნებელ კრებაზე შალვა ნუცუბიძის ფიზიკური შეურაცხყოფა. სტუდენტები გამოთქვამდნენ იმედს, რომ დამფუძნებელი კრება სათანადო პასუხს გასცემდა უღირს დეპუტატს. სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს წარუდგინა წინადადება ბენია ჩხიკვიშვილისთვის დეპუტატის სტატუსის ჩამორთმევის შესახებ. ფრაქციის წევრთა თქმით, ჩხიკვიშვილმა თავისი საქციელით დამფუძნებელი კრების ღირსება შელახა. სოციალ-ფედერალისტთა გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა შალვა ნუცუბიძის მხარდამჭერი სტატიები და დეპუტატი, რომლებშიც დაგმობილი იყო დეპუტატ ბენია ჩხიკვიშვილის საქციელი.

საბოლოოდ, საქმე არ გაგრძელებულა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი ჩხიკვიშვილი-ნუცუბიძის უსიამოვნება არავის ახსოვდა. მაგრამ როდესაც სოციალ-ფედერალისტთა ერთმა ნაწილმა, თედო ღლონტისა და შალვა ნუცუბიძის მეთაურობით, საბჭოთა ხელისუფლებასთან აქტიურად თანამშრომლობა დაიწყო, ნუცუბიძესთან სტუდენტები მივიდნენ და განუცხადეს: „ეს რა შეცდომა დავუშვიტ, რომ თქვენ გამო დემონსტრაციაზე გამოვედით, ბენია ჩხიკვიშვილმა რატომ მეორე თვალის არ ამოგთხარათო“.<sup>[8]</sup> წლების შემდეგ, ამ ისტორიას გაგრძელებაც მოჰყვა: ბენიას შვილთან, სლავასთან მივიდა მისი მეგობარი, შალვა ნუცუბიძის

collaboration with the Soviet government, students came to Nutsubidze and told him: “What a mistake we have made when we came out in the streets because of you! Why did not Benia Chkhikvishvili also dig out your second eye?!“<sup>[8]</sup> After several years, this story was followed by a continuation: Shalva Nutsubidze’s relative, who was also a friend of Benia’s son, Slava, came to Slava and told him about Shalva’s request that he wanted to meet Benia’s son. It is said that during their meeting, Shalva Nutsubidze told Slava: “Probably you have been told about what has happened between me and your father. Remember that it was a fault of my tongue.”

It is being said that Chkhikvishvili was a left-wing socialist for what he was criticized for his closeness with Bolshevism. However, until the end of his life, he had been faithful to the idea of the independence of his country and he even died for it.<sup>[9]</sup>

In the early 1900s, the entire Russian Empire became the center of revolutions and demonstrations. Georgia was no exception, which was overwhelmed by the revolutionary wave. Clashes between the revolutionaries and soldiers of the regular army were frequent. The Russo-Japanese War also began in 1904, leading to famine throughout the country, and events culminated in the January-June 1905 revolution.

Benia Chkhikvishvili had oratorical talents. People used to gather to listen to him. In 1903, he became a member of the newly-established Batumi Committee of the Social-Democratic Labor Party of Russia. During his staying in Batumi (he worked at the Mantashev’s Second (Richter) Factory) he demonstrated his organizational skills. He planned and participated in the extrication of his friend, imprisoned by the Russian soldiers, which many considered to

ნათესავი და გადასცა შალვას თხოვნა, ბენიას შვილი შეეხვედრებინა. გადმოცემის თანახმად, შალვა ნუცუბიძემ შეხვედრისას სლავას უთხრა: „ალბათ მოგიყვან, ჩემსა და მამაშენს შორის რაც მოხდაო. იცოდე, ყველაფერი ჩემი ენის ბრალიაო“...

როგორც ამბობენ, ჩხიკვიშვილი უფრო მემარცხენე სოციალისტი იყო, რის გამოც მას ბოლშევიზმთან სიახლოვეს საყვედურობდნენ, მაგრამ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეას ბოლომდე ერთგულად და თავგამოდებით უერთგულა და ამისთვის სიცოცხლეც კი დათმო.<sup>[9]</sup>

1900-იანი წლების დასაწყისში მთელი რუსეთის იმპერია რევოლუციების და გამოსვლების კერად იქცა. გამონაკლისი არც საქართველო იყო, რომელსაც რევოლუციურმა ტალღამ გადაუარა. ხშირი იყო შეტაკებები რევოლუციონრებსა და მეფის რეგულარული არმიის ჯარისკაცებს შორის. 1904 წელს დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომიც, რამაც მთელს ქვეყანაში შიმშილი გამოიწვია, ხოლო მოვლენები დაგვირგვინდა 1905 წლის იანვარ-ივნისის რევოლუციით.

ბენია ჩხიკვიშვილი ორატორული ნიჭით გამოირჩეოდა, მის მოსასმენად ხალხი სპეციალურად იკრიბებოდა. 1903 წელს ახლად ჩამოყალიბებულმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტმა ის თავის რიგებში გააწევრიანა. ბათუმში ყოფნისას (ის მუშად მუშაობდა მანთაშევის მეორე /რიხტერის/ ქარხანაში) მან გამოავლინა ორგანიზატორული ნიჭიც, დაგეგმა და თავად მონაწილეობდა რუსი ჯარისკაცების მიერ დატყვევებული ამხანაგის გამოსხნაში, რაც უმრავლესობას განუხორციელებლად მიაჩნდა. ჩხიკვიშვილმა ეს საქმე წარმატებით შეასრულა, რამაც რევოლუციურის გარდა, სამხედრო



რუსეთის იმპერატორი  
ნიკოლოზ II

Russian Emperor Nicholas II

ფოტო ინტერნეტიდან  
Photo from the Internet

be impossible. Chkhikvishvili accomplished this mission successfully after which he became a revolutionary and his status among military circles was elevated together with the status of Batumi Committee and Benia was named “General-Governor of Bartskhana”.

In Spring 1903, during his speech at the anniversary of shooting the workers’ demonstration in Batumi, Benia stood in front of an officer when they approached the military headquarters, and told him: “Down with your Nicholas!” In 1904, during the clash with police at the demonstration against the war with Japan, Chkhikvishvili was holding a flag in his hand.<sup>[10]</sup> (Both of these demonstrations were organized by Benia).

After the revolutionary events, it was impossible for Benia to stay in Batumi and he, as a member of the committee of the Workers’ Social-Democratic Party of Russia, started illegal working in Tbilisi. He was an organizer of the press and propaganda groups. During the three months, he

წრეებშიც აუმაღლა რეიტინგი მას და ბათუმის კომიტეტს, ხოლო ბენია ჩხიკვიშვილს „ბარცხანის გენერალ-გუბერნატორი“ შეარქვეს.

1903 წლის გაზაფხულზე ბათუმში მუშათა დემონსტრაციის დახვედრის ერთი წლისთავზე გამოსვლის დროს, როდესაც სამხედრო შტაბს მიუახლოვდნენ, ბენია მორიგე ოფიცერს პირდაპირ დაუდგა და უთხრა: „ძირს შენი ნიკოლოზი!“ 1904 წელს კი იაპონიასთან ომთან დაკავშირებით ჩატარებული აღლუმის სანინალმდეგო დემონსტრაციაზე პოლიციასთან შეტაკებისას ჩხიკვიშვილს ხელში დროშა ეჭირა.<sup>[10]</sup> (ორივე ეს დემონსტრაცია თავად ბენიას ორგანიზებული იყო).

რევოლუციური მოვლენების შემდეგ ბენიას ბათუმში გაჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა და ის, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) თბილისის კომიტეტის წევრი, თბილისში შეუდგა არალეგალურ პარტიულ მუშაობას. იყო ტიპოგრაფიების და პროპაგანდისტთა ჯგუფების ორგანიზატორი. სამი თვის განმავლობაში ააწყო კავშირები თბილისის კომიტეტსა და კახეთის სოფლის ორგანიზაციებს შორის.

1904 წლის ოქტომბერში ბენია თბილისში დააპატიმრეს და უკან, ბათუმში გადაიყვანეს, მას ბათუმის დემონსტრაციის და საიდუმლო სტამბის ორგანიზებას ედავებოდნენ, თუმცა მალევე თავდებით გაათავისუფლეს. თბილისის რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით, ის გურიაში ჩავიდა, რათა მოძრაობის სათავეში ჩამდგარიყო.

ჩხიკვიშვილის თაოსნობით, 1905 წელს დაშალეს ოზურგეთის საქალაქო საბჭო და მოიწვიეს „გურიის დროებითი პარლამენტი“. მისი თავმჯდომარის არჩევნებში

established links between the Tbilisi committee and the village organizations of Kakheti.

In October 1904, Benia was arrested in Tbilisi and taken back to Batumi. He was accused of organizing Batumi demonstration and secret publication-house. However, soon he was released on bail. Following the decision of the Tbilisi Revolutionary Committee, he went to Guria to lead the movement.

Under Chkhikvishvili's leadership, in 1905, the City Council of Ozurgeti was dismissed and the "Provisional Parliament of Guria" was invited. In the elections, Chkhikvishvili received 958 votes out of 970. He was also often called "the President of Provisional Parliament".<sup>[11]</sup> He had an influence not only on Ozurgeti district but also on the railway, which had sometimes been under the control of the strikers and sometimes - the government. Chkhikvishvili was said to allocate oil and food himself, his single call was enough for him to be provided by a delegate train from Batumi or Samtredia. He was always accompanied by the armed groups and everyone used to make a way for him. "Everyone listened to Benia and accomplished what he had ordered"<sup>[12]</sup> when he was just 25-year-old. It was said about him that "if Benia Chkhikvishvili had not been in Guria, there situation would be ten times more disastrous".<sup>[13]</sup>

Famous military and public official, Georgian general of Wehrmacht, Shalva Maghlakelidze wrote about him in his memoirs: ***"Benia Chkhikvishvili, famous as the President of Guria, was an old-style, truthful and brave man. He was useful for rebellion, he could use weapons, did not need a school for it, he was well-known in Guria. He returned from penal servitude, with hoarse voice, aquiline nose, beard, mustache. He was a huge man"***.<sup>[14]</sup>

ჩხიკვიშვილმა 970-დან 958 ხმა მიიღო. მას ხშირად ეძახდნენ „დროებითი პარლამენტის პრეზიდენტსაც“.<sup>[11]</sup> მისი გავლენა ვრცელდებოდა არა მარტო ოზურგეთის მაზრაზე, არამედ რკინიგზაზეც, რომელიც ხან გაფიცულთა, ხან კიდევ ხელისუფლების ხელში იყო. ამბობენ, რომ ჩხიკვიშვილი თავად ანანილებდა ნავთსა და სურსათს, ამარაგებდა ოზურგეთს, მისი ერთი ზარიც კი საკმარისი იყო, რომ ბათუმიდან ან სამტრედიიდან მისთვის სადელეგატო მატარებელი მიეწოდებინათ. ის ყოველთვის შეიარაღებული რაზმელების თანხლებით გადაადგილდებოდა და ყოველი შემხვედრი მას მოწინებით უთმობდა გზას. ბენიას „ყველანი უგონებდნენ და სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდნენ იმის განკარგულებას“<sup>[12]</sup> სულ რაღაც 25 წლის ასაკში. მის შესახებ ამბობდნენ, რომ გურიაში „ბენია ჩხიკვიშვილი („კაცი მარჯვე და მომქმედი“), რომ არ ყოფილიყო, ათჯერ უარესი უბედურება დატრიალდებოდაო“<sup>[13]</sup>.

ცნობილი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ვერმახტის ქართველი გენერალი შალვა მაღლაკელიძე მის შესახებ მოგონებებში წერდა:

**„ბენია ჩხიკვიშვილი, ცნობილი როგორც გურიის პრეზიდენტი, ძველი და მართალი ვაჟკაცური კაცი იყო. აჯანყებისთვის გამოდგებოდა, იარაღსაც იხმარდა, სკოლა არ უნდოდა მაგისტრის, გურიაში უდიდესი სახელი ჰქონდა. კატორღიდან დაბრუნდა, ჩახლუჩილი ხმა, არწივისებური ცხვირი, წვერები, უღვაშები ჰქონდა, ვეებერთელა კაცი იყო“.**<sup>[14]</sup>

1905 წლის 14 ოქტომბერს მთელს ამიერკავკასიაში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. გურიაში ეს შეიარაღებული აჯანყების დასაწყისად აღიქვეს, მაგრამ აჯანყებისთვის საჭირო იყო დიდძალი იარაღი. გაფიცვამდეც ხშირი



შალვა მაღლაკელიძე

Shalva Maglakelidze

დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში  
Preserved at the National Parliament Library of Georgia

On 14 October 1905, a strike began in the South Caucasus. In Guria, it was perceived as the beginning of rebellion but for rebellion, a great number of weapons was needed. Even before the strike, the attacks on officers and Kozaks and grabbing their arms was common, but during the strike, such cases became full-scale: based on the decision of military headquarters, ten soldiers under the leadership of Grigol Dumbadze, attacked the sleeping officers in 1904 and took Bernard arms, several swords and cartridges. On 11 October, approximately at 9:30, between Supsa and Jumati, hundred armed Gurians stopped the train and grabbed five boxes of revolvers together with bullets and hid away.<sup>[15]</sup> On 16 October, the soldiers of Chokhatauri local organization attacked Police guard post and post office, one was killed, two were wounded and several were taken as prisoners, including police officer (Bokauli) Gagua who “was taken by the Gurians with



იყო „სტრაჟნიკებსა“ და კაზაკებზე თავდასხმა და მათთვის იარაღის წართმევა, გაფიცვის დროს კი ამ შემთხვევებს მასობრივი ხასიათი მიეცა: სამხედრო შტაბის გადაწყვეტილებით, ათი წითელრაზმელი, გრიგოლ დუმბაძის მეთაურობით, 1904 წლის ოქტომბერში, ოზურგეთში თავს დაესხა მძინარე სტრაჟნიკებს და გაიტაცა ოცდაექვსი ბერდანის თოფი, რამდენიმე ხანჯალი, ვაზნები. 11 ოქტომბერს, დაახლოებით დილის ათის ნახევარზე სუფსასა და ჯუმათს შორის ასმა შეიარაღებულმა გურულმა გააჩერა მატარებელი, წაიღო ხუთი ყუთი რევოლვერი ტყვიებთან ერთად და მიიშალა.<sup>[15]</sup> 16 ოქტომბერს, ჩოხატაურის ადგილობრივი ორგანიზაციის წითელრაზმელებმა იერიში მიიტანეს პოლიციელთა საგუშაგოსა და ფოსტის განყოფილებაზე, მოკლეს ერთი, დაჭრეს ორი და დაატყვევეს რამდენიმე კაცი, მათ შორის პოლიციის ბოქაული გაგუა, რომელიც გურულებმა „დიდის ზრდილობით წაიყვანეს ცხენით მიყრუებულ ადგილას“.<sup>5 [16]</sup> აგრეთვე წაიღეს იარაღი – 10 ბერდანა, 12 შაშხანა, 2 რევოლვერი, ტყვია-წამალი და სხვა. ამ შემთხვევებმა ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაცია ძლიერ შეაშფოთა, რის შემდეგაც თავად მაზრის უფროსი შეიარაღებული 120 პლასტუნით<sup>6</sup> და 13 პოლიციელის თანხლებით, გაემართა ჩოხატაურში ნესრიგის დასამყარებლად.

1905 წლის 20 ოქტომბერს ოზურგეთიდან 14 კილომეტრის მოშორებით, სოფელ

5. ბოქაულის დაპატიმრება აჯანყებულებმა იმით ახსნეს, რომ მისთვის აეცილებინათ მოსალოდნელ რეპრესიებში მონაწილეობა, რადგან მასთან კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ. გაგუას კარგად ეპყრობოდნენ და რამდენიმე დღის შემდეგ გაათავისუფლეს კიდევ. საინტერესოა, რომ გაგუას არავინ გაუცია, მან მხოლოდ განაცხადა, რომ ის თვალბახვეული წაიყვანეს, კარგად უვლიდნენ და ასევე თვალბახვეული ჩოხატაურში დააბრუნეს.

6. „პლასტუნი - ყუბანის შავი ზღვის კაზაკთა ქვედანაყოფის ფეხოსანი კაზაკი, რომელსაც სადაზვერვო და დაცვით ფუნქციები ჰქონდა.“

great courtesy”.<sup>5 [16]</sup> They also took arms – 10 bearden rifles, 12 rifles, 2 revolvers, bullets, etc. The administration of Ozurgeti district was concerned with these events after which armed head of the district with 120 Plastuns<sup>6</sup>, accompanied by 13 policemen went to Chokhatauri to restore order.

On 20 October 1905, 14 kilometers away from Ozurgeti, near the village Nasakirali, there was a battle between the Red army soldiers and Kozaks in which Kozaks were defeated. According to different reports, 10 were killed, 14 were wounded and 6 Kozaks were captured. Also, they took weapons and horses. One person from rebels was killed and two were wounded.<sup>[17]</sup>

According to the documents, Guria committee, specifically Benia Chkhikvishvili, Nestor Erkomaishvili and others led the Nasakirali battle. Almost the whole society of Guria, up to 4,000 people (Filipp Makharadze names 1,000 men) participated in the battle. It is being said that up to 60 men were well-equipped (30 men, according to the other data), others had flint guns, axes, knives and other agricultural instruments.

In the beginning, Benia Chkhikvishvili refused to attack the Nasakirali mountain pass to avoid unnecessary sacrifice. He considered that this would aggravate the situation and would give advantage to the government to activate the repressive

5. The arrest of Bokauli was explained by the rebels as an attempt to keep him away from the expected repressions as long as they had good relations with him. Gagua was treated well and after a few days, he was released. Interestingly, Gagua had not informed against anyone. He only declared that he was taken blindfolded, treated well and returned to Chokhatauri still blindfolded.

6. Plastun – Cossack infantryman in the Kuban and Black Sea Cossack Subdivisions with intelligence and defensive functions.

ნასაკირალთან, წითელრაზმელებმა კაზაკებს ბრძოლა გაუმართეს, დაამარცხეს და უკუაგდეს. სხვადასხვა ცნობით, მოკლეს 10, დაჭრეს 14 და ტყვედ წაიყვანეს 6 კაზაკი, ასევე ხელში ჩაიგდეს ცეცხლსასროლი იარაღი და ცხენები. აჯანყებულებს კი მოუკლეს ერთი კაცი და ორი დაჭრეს.<sup>[17]</sup> დოკუმენტების მიხედვით, ნასაკირალის ბრძოლას ხელმძღვანელობდა გურიის კომიტეტი, კერძოდ კი, ბენია ჩხიკვიშვილი, ნესტორ ერქომაიშვილი და სხვები. ნასაკირალის ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა გურიის თითქმის მთელი საზოგადოება, 4 ათასამდე კაცი (ფილიპე მახარაძე ასახელებს 1000 კაცს). ამბობენ, მათგან კარგად შეიარაღებული იყო 60 კაცამდე (სხვა მონაცემებით 30), დანარჩენებს კი კაჟიანი თოფები, ცულები, წალდები, დანები, თოხები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი ჰქონდათ.

ბენია ჩხიკვიშვილი თავიდან, უსარგებლო მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით, ნასაკირალის უღელტეხილზე თავდასხმაზე უარზე იყო (მისი აზრით, ეს უფრო გაამწვავებდა მდგომარეობას და უფრო მეტ კოზირს მისცემდა მთავრობას, რათა რეპრესიული მანქანა მთელი სიმძლავრით აემოქმედებინა გურიის მოსახლეობის წინააღმდეგ (რაც დამტკიცდა კიდევც), მაგრამ რაკი უმრავლესობამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, ის დაემორჩილა, თავად წავიდა ნასაკირალზე და „მებრძოლებს... არ მოშორებია, გვერდში ედგა მათ“.<sup>[18]</sup> ჩხიკვიშვილი რაზმელებს აძლევდა დავალებებს – რომელი მათგანი სად უნდა ყოფილიყო და როგორ ემოქმედა.

21 ოქტომბერს აჯანყებულებთან 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ ამბავი მიიტანეს.<sup>7</sup> ისიდორე რამიშვილის თქმით, ეს ცნობა „აჯანყების სარდალს“

7. 17 ოქტომბრის მანიფესტის თანახმად, რომელიც წერტილს უსვამდა რომანოვების 300-წლიან აბსოლუტურ მონარქიას, ხალხს ენიჭებოდა „სამოქალაქო თავისუფლების ძირითადი გარანტიები“ - მათ მიერ არჩეული სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა, დემოკრატიული რეფორმების გატარება, სიტყვის, შეკრების, პრესის და სხვა თავისუფლებების მიცემა.

machine against the Guria population (which was proved) but as long as the majority made such decision, he agreed, went to Nasakirala and did not leave the warriors until the end of the battle.<sup>[18]</sup> Chkhikvishvili gave commands to the soldiers – where they should have been allocated and how to act.

On 21 October, the manifesto of 17 October was taken to the rebels.<sup>7</sup> According to Isidore Ramishvili, Noe Ramishvili gave this notice to the leader of the rebellion, Benia Chkhikvishvili.<sup>[19]</sup> The discussion whether to continue or suspend rebellion began. Some of the rebels said the rebellion was crushed but the majority said that this was still better than nothing.<sup>[20]</sup> However, not many believed the manifesto, on 21 October the shooting suspended and people dispersed.

Nasakirala impressed everyone and it significantly facilitated the armed rebellion in the Russian Empire.<sup>8</sup> <sup>[21]</sup> It is said that after a long time, Kozaks asked one another: “Do you know Nasakirali?” It is notable that later the Communist rewrote the history in such a manner that Stalin was represented almost as a leader of the Nasakirali battle and Guria rebellion. Through this, they wanted to elevate Stalin’s image. If the Nasakirali battle had truly been planned by Jughashvili, he would have been mentioned in the countless memoirs left by the Georgian Bolsheviks. The political situation in Guria was led by the Mensheviks. The Bolshevik Tengiz Zhghenti

7. According to the October 17 manifesto, which finalized the 300 years of the rule of the Romanovs, the people were granted the basic guaranteed of civic rights – the invitation of Dume elected by them, implementation of democratic reforms, freedom of speech, gathering, press, etc.

8. The communists portrayed the Nasakirali attack as one of the most important battles carried out by the Georgians and voiced it with the help of the famous historian Niko Berdzenishvili: “Our whole history is an endless struggle for progress and culture. David the Bulder’s Didgori battle against Turkish barbarians and well-known Nasakirali against the Tsarist reaction are particular moments of thie epic struggle.”

ბენია ჩხიკვიშვილს ნოე რამიშვილმა მიაწოდა.<sup>[19]</sup> მაშინვე გაიმართა ბჭობა – გაეგრძელებინათ თუ შეენწყვიტათ თავდასხმა. ზოგიერთი მეამბოხე ამბობდა: „რევოლუციას ცივი წყალი გადაასხესო. უმეტესობა კი გაიძახოდა, ეს „პოჭოკია“ (გოჭის ფეხი – ი. მ.), მაგრამ სულ უფეხობას „პოჭოკიც“ სჯობიაო“.<sup>[20]</sup> თუმცა მანიფესტისა ცოტა თუ ვინმემ დაიჭერა, 21 ოქტომბრის ღამეს სროლა შეწყვედა და ხალხი დაიშალა.

ნასაკირალმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უკლებლივ ყველაზე და მძლავრი ბიძგი მისცა რუსეთის იმპერიაში შეიარაღებულ აჯანყებას.<sup>8</sup> <sup>[21]</sup> თურმე ამ ამბებიდან დიდ ხნის განვლის შემდეგაც კაზაკები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „Накипали знаешь?“ „ნასაკირალი გაგიგონია?“ (ნასაკირალს ისინი „ნაკირალს“ ეძახდნენ). აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით კომუნისტებმა ისტორია გადანერეს ისე, რომ სტალინი ნასაკირალის ბრძოლის და ღამის გურიის მთელი აჯანყების ხელმძღვანელად წარმოაჩინეს. ამით სურდათ, ბელადის სახე კიდევ უფრო მეტი შარავანდით შემოსილიყო, რაც, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეეფერებოდა. ნასაკირალის შეტაკება მართლაც ჯულაშვილის დაგეგმილი რომ ყოფილიყო, იმ უთვალავ მემაუარში, რაც ქართველმა ბოლშევიკებმა დატოვეს, ეს ფაქტი აუცილებლად იქნებოდა ნახსენები. პოლიტიკურ სიტუაციას გურიაში მაშინ მენშევიკები წარმართავდნენ. ბოლშევიკი თენგიზ ჟღენტი აღნიშნავდა (მისი ცოლი ბენიას და იყო), რომ საქართველოში პარტ-ორგანიზაციები მენშევიკების ხელში

8. კომუნისტებმა ნასაკირალზე თავდასხმა ქართველების მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბრძოლად შერაცხეს და მოგვიანებით, ისტორიკოს ნიკო ბერძენიშვილს ხმამაღალი შეფასება დააწერინეს: „მთელი ჩვენი ისტორია პროგრესისა და კულტურისთვის განუწყვეტელი ბრძოლაა. დიდგორის ბრძოლა დავით აღმაშენებლისა თურქული ბარბაროსობის წინააღმდეგ და სახელოვანი ნასაკირალი ცარისტული რეაქციის წინააღმდეგ ამ ეპიკური ბრძოლის ცალკეული დიდი მომენტებია.“

(his wife was Benia's sister) mentioned that the party organizations in Georgia were under the influence of the Mensheviks.

<sup>[22]</sup> In fact, in the Russian Empire, only in Georgia the term “Mensheviks” meaning the “minority” did not describe the reality.

On 9 January 1906, for celebrating the anniversary of the Bloody Sunday<sup>9</sup>, almost all of the Red soldiers of Guria and the local population, more than 10,000 people gathered at the main square of Ozurgeti. 2,000 demonstrators were armed with Berdan rifles, “Smith & Wesson” and hand-made bombs. The demonstrators with flags, singing La Marseillaise walked around the whole city, held meeting at which Benia Chkhikvishvili made a speech. He finished his speech with these words: “Down with shameful governments, down with autocracy, long live the Republic!” According to the investigative materials, he also said that all of the King's servants “would be hanging on these trees”. Then he led the armed soldiers on horseback to meet the army coming from Batumi. On his way, he called for the villagers to arm themselves. However, the battle was not held.<sup>[23]</sup>

In January 1906, after crushing the Guria rebellion, in violation of the decision of the committee, Benia Chkhikvishvili stayed in Guria. He was a tall man and used to joke: “How can such a man of this height hide in the city?” (In one of the letters, Benia, who was in exile, wrote to his mother: “the height of the door is one and a half arşin<sup>10</sup> and I hit my head as I forget to bend

9. Bloody Sunday is the name given to the events of Sunday, 22 January [O.S. 9 January] 1905 in St Petersburg, Russia, when tens of unarmed demonstrators were fired upon and killed by soldiers of the Imperial Guard.

10. Arşin - old-style measurement of length, equal to 71,12 centimeters.

იყო.<sup>[22]</sup> რეალურად კი რუსეთის იმპერიის მასშტაბით, მხოლოდ საქართველოში არ ასახავდა სახელწოდება „მენშევიკი“, ანუ „უმცირესობა“, რეალობას.

1906 წლის 9 იანვარს, „სისხლიანი კვირის“<sup>9</sup> წლისთავის აღსანიშნავად, ოზურგეთში მთავარ მოედანზე თავი მოიყარა გურიის თითქმის ყველა წითელრაზმელმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ, 10 000-ზე მეტმა კაცმა. მათ შორის, ორი ათასი დემონსტრანტი „ბერდანით“, „სმიტ ვესონითა“ და თვითნაკეთი ბომბებით იყვნენ შეიარაღებული. შეკრებილებმა დროშებით და „მარსელიეზათი“ მთელი ქალაქი შემოიარეს, მიტინგი გამართეს, სადაც გამოვიდა ჩხიკვიშვილი, რომელმაც ასე დაასრულა სიტყვა: „ძირს სამარცხვინო მთავრობა, ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ საგამოძიებო მასალების მიხედვით, მას უთქვამს ასევე, რომ მალე მეფის ყველა მოხელე „აი, ამ ხეებზე იქნებიან ჩამოხრჩობილიო“. შემდეგ ცხენზე ამხედრებული წინ წაუძღვა შეიარაღებულ რაზმს ბათუმიდან წამოსული ჯარის შესახვედრად, გზა და გზა სოფლის მოსახლეობას მოუწოდებდა, შეიარაღებულიყვნენ, თუმცა ბრძოლა არ გამართულა.<sup>[23]</sup>

1906 წლის იანვარში, გურიის მოძრაობის ჩახშობის შემდეგ, კომიტეტის დადგენილების საწინააღმდეგოდ, პრეზიდენტი ბენია ჩხიკვიშვილი გურიაში დარჩა. ის მაღალი ტანის კაცი იყო და თურმე ხუმრობით ამბობდა: „ამ სიმაღლის კაცი ქალაქში რაფერ დავიშალები?“ (ერთ წერილში ბენია გადასახლებიდან დედას სწერდა „კარის სიმაღლე არშინ-ნახევარია“<sup>10</sup> და

9. სისხლიანი კვირა დღე - 1905 წლის 22 იანვარს [ძველი სტილით 9 იანვარს] სანქტ პეტერბურგში დემონსტრაციის დაშლა რუსეთის იმპერიის რეგულარული არმიის მიერ, რასაც ათეულობით ადამიანი ემსხვერპლა.

10. არშინი - ძველებური რუსული სიგრძის საზომი, უდრის 71,12 სანტიმეტრს.



ფოტის ციხიდან ბენიას მიერ დისთვის გაგზავნილი ფოტოსურათი 1907 წლის 6 დეკემბერი

Photo sent by Benia to his sister from Poti prison December 6, 1907

ირაკლი მახარაძის კოლექცია Irakli Makharadze Collection

down”). He considered that leaving Guria “was impossible for him and continued to work, restore crushed organizations and traveled from one region to another for this purpose”.<sup>[24]</sup> During one of such travels, on 19 February 1906, in the village Aketi, he, all of a sudden, came across with the Kozak patrol who recognized and arrested him. Chkhikvishvili was sent to Ozurgeti where he was immediately identified.<sup>[25]</sup>

On 21 January 1908, the court case of the Republic of Guria started in Tbilisi. The participants were tried according to the article 102, including the creation of special organization for overthrowing Tsarism through armed methods. Benia Chkhikvishvili, Nestor Erkomaishvili, Simon Ghlonti, Sergo Surguladze, Mose Tughushi (it is being said that a list of the people who participated in the rebellion was discovered at Tughushi’s apartment during investigation), Razhden Khomeriki and others were held responsible. Some of them managed to hide away.

The defendants were in preliminary detention for three years. The newspaper

თავს ვახეთქებო, მავინყდება თავის დახრა წელამდეო”) გურიის დატოვება „თავისთვის შეუძლებლად მიიჩნია და განაგრძობდა იქვე მუშაობას, აქა-იქ მინგრეული ორგანიზაციების აღდგენას და ამ მიზნით ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდა“.<sup>[24]</sup> ერთი ასეთი მგზავრობის დროს, 1906 წლის 19 თებერვალს, სოფელ აკეთში შემთხვევით გადაეყარა კაზაკთა პატრულს, რომელმაც ის მაშინვე დააპატიმრა. ჩხიკვიშვილი გადაგზავნეს ოზურგეთში, სადაც ამოიცივნეს.<sup>[25]</sup>

1908 წლის 21 იანვარს, თბილისში დაიწყო გურიის რესპუბლიკის სასამართლო პროცესი. მონაწილეებს ბრალს სდებდნენ 102-ე მუხლით, რაც ითვალისწინებდა სპეციალური ორგანიზაციის შექმნას ცარიზმის დასამხობად შეიარაღებული საშუალებით. პასუხისგებაში მიეცნენ: ბენია ჩხიკვიშვილი, ნესტორ ერქომაიშვილი, სიმონ ღლონტი, სერგო სურგულაძე, მოსე ტულუში (ამბობენ, რომ გამოძიებამ ტულუშის ბინაში აღმოაჩინა სია პიროვნებებისა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გურიის რევოლუციურ მოძრაობაში), რაჟდენ ხომერიკი და სხვები. დასახელებულ პირთაგან ზოგიერთმა მიმალვა შეძლო.

ბრალდებულები წინასწარ პატიმრობაში თითქმის სამი წელი იმყოფებოდნენ. გაზეთი „ახალი ცხოვრება“ (29 ივნისი, 1906) იუწყებოდა: „როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ, ბ. ჩხიკვიშვილი, რომელიც ამჟამათ ქუთაისის სატუსალოში იმყოფება, მეტად ცუდ მდგომარეობაში ყოფილა. სატუსალოს ნესტიან და აუტანელ პირობებს საშინლად უმოქმედნია ჩხიკვიშვილის ორგანიზმზე, რის გამოც ავად იმყოფება ეხლა. ხანდახან სისხლაც აღებინებს ხოლმე“. ბრალდებულებმა განცხადებით მიმართეს თბილისის საგანგებო

(29 June 1906) reported: “As we have heard from the real sources, B. Chkhikvishvili, who is at the Kutaisi Hospital now, is in a very bad condition. The dampness of the prison and unbearable conditions have affected Chkhikvishvili’s organism for which he is ill now. Sometimes he even vomits blood”. The defendants addressed the head of the Tbilisi Special Court to invite the lawyers to defend them who played a huge role in the preparation of the case and lawful management.

Because the main witnesses did not come to the court, the lawyers requested to postpone the hearing but the court did not satisfy their request. Then the defendants and lawyers expressed protest and refused to attend the hearing. After the protest, the court decided to hold an open hearing and the defendants agreed to participate in it.

It is notable that the members of the court were afraid of the terrorist attack of the Gurian revolutionaries. Besides, up to sixty witnesses addressed the Viceroy that they would not come to Tbilisi because there was a threat of their assassination – the terrorist had already killed four witnesses. For this, the court initiated a request to the Ministry of Justice to take this case to another city of Russia, which was satisfied, the case was transferred to the Odessa Court Chamber (Benia Chkhikvishvili’s speech was named as one of the reasons for this decision after which, according to one witness, the court hearing “turned into a demonstration”)<sup>[26]</sup>.

Regarding moving the case to Odessa, the lawyers sent a dispatch to the State Duma where it was said: “The case of so-called Guria Republic, which was held in Tbilisi in January, is moved to Odessa where, during these few days, all 12 defendants will be taken, who have been arrested for

სასამართლოს თავჯდომარეს, რათა მათ დასაცავად მიენვიათ ვეჯილები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს საქმის მომზადებასა და კანონიერად წარმართვაში.

იმის გამო, რომ სასამართლოში არ გამოცხადდნენ მთავარი მოწმეები, ადვოკატებმა მოითხოვეს საქმის გადადება, მაგრამ სასამართლომ მათი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. მაშინ ბრალდებულებმაც და ადვოკატებმა პროტესტი განაცხადეს და უარი თქვეს სასამართლო პროცესში მონაწილეობაზე. პროტესტის შემდეგ, სასამართლო პალატამ გადაწყვიტა, ჩაეტარებინა ღია პროცესი. ადვოკატები და ბრალდებულებიც დათანხმდნენ პროცესში მონაწილეობაზე.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს წევრებს გურული რევოლუციონერების ტერორისტული თავდასხმების ეშინოდათ. ამას გარდა, დაახლოებით სამოცამდე მოწმემ განცხადებით მიმართა მეფისნაცვალს, რომ ისინი თბილისში არ ჩამოვიდოდნენ, რადგან არსებობდა მათი მოკვლის საშიშროება – ტერორისტებს ოთხი მოწმე უკვე მოკლული ჰყავდათ. ამის გამო სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის მინისტრის წინაშე, რათა საქმე რუსეთის რომელიმე ქალაქში გადატანილიყო, რაც დაკმაყოფილდა და საქმე გადაეცა ოდესის სასამართლო პალატას (ოდესაში საქმის გადატანის ერთ-ერთ მიზეზად ბენია ჩხიკვიშვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ასახელებენ, რის შედეგად, თვითმხილველების თქმით, „პროცესი დემონსტრაციად გადაიქცა“)<sup>[26]</sup>.

საქმის ოდესაში გადატანასთან დაკავშირებით, ადვოკატებმა დეპეშა გაგზავნეს სახელმწიფო სათათბიროში, სადაც ნათქვამი იყო: „ეგრეთ წოდებული „გურიის რესპუბლიკის“ საქმე, რომელიც ამა წლის იანვარში ირჩეოდა თბილისში... გადატანილია ოდესაში, სადაც ამ

more than 2 years. More than 100 witnesses are invited for this case, out of whom, due to the long distance, no one will be able to come to Odessa. Due to poverty, they cannot invite their previous lawyers who are already familiar with the case containing nine big volumes. Therefore, by moving the case to Odessa, they are deprived of any chance to defend themselves.”<sup>[27]</sup> The lawyers demanded the case to be held in Tbilisi but their request was not satisfied and the defendants were taken to Odessa by the military ship. At the Odessa harbor, former head of Ozurgeti district and the general and the head of the city, Tolmachov met them. The newspapers represented the Gurians as savages and promoted their negative image: “The Gurians are worse than African savages, not only having business with them but even looking at them is dangerous.”<sup>[28]</sup> For such reputation, the secretary of the court went to prison accompanied by 12 militiamen. Only after this, he ordered the defendants to be taken out of their cells but when he saw intellectual youngsters, dressed in European way, he let the militiamen to go.

As it was expected, many witnesses refused to travel to Odessa. Only 13 witnesses out of 58 came to Odessa.

The court hearing, similarly to Tbilisi, attracted a huge interest in Odessa. The court building was protected by the police from the people. Regardless of the increased interest, the hearing was closed for the public.

The German-language newspaper „Kaukasische Post“ also reported about this case with a long letter which was different in terms of attitude and spirit from the other articles published in the same newspaper.

Benia Chkhikvishvili was sentenced 4 years, Nestor Erkomaishvili 6 years, Giorgi Mamulashvili, Mose Tughushi, Surguladze, Lomjaria and Totochava life-time resettlement, two defendants were freed.

დღეებში მიჰყავთ ყველა, 12-ვე ბრალდებული, რომელნიც 2 წელიწადზე მეტს არიან დატუსაღებულნი. ამ საქმეზე დაბარებულია 100-ზე მეტი მოწმე, რომელთაგან, სიმორისა გამო, ოდესაში არავინ გამოცხადდება. უსახსრობის გამო ბრალდებულთ არ შეუძლიათ ოდესაში მოიწვიონ თავიანთი წინანდელი დამცველები, უკვე გაცნობილნი საქმესთან, რომელიც შეიცავს ცხრა დიდ ტომს. ამნაირად, ბრალდებულთა საქმის ოდესაში გადატანის წყალობით, ესპობათ დაცვის ყოველგვარი საშუალება<sup>[27]</sup> ადვოკატები ითხოვდნენ, რომ საქმე ისევ თბილისში გარჩეულიყო, მაგრამ მათი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და ბრალდებულები ოდესაში სამხედრო გემით გადაიყვანეს. ოდესის ნავსადგურში გურულებს ოზურგეთის მზრის ყოფილი უფროსი, გენერალი და ქალაქის თავი ტოლმაჩოვი დახვდა. გაზეთები გურულებს ლამის ველურებად წარმოაჩენდა და მათ შესახებ ნეგატიური აზრის შექმნას უწყობდა ხელს: „...გურულები აფრიკელ ველურებზე უარესები არიან, მათთან საქმის დაკავება კი არა მათი შეხედვაც კი საშიშია“<sup>[28]</sup> აღნიშნული რეპუტაციის გამო სასამართლოს მდივანი რევოლუციურშემართული 12 „გოროდოვოის“ თანხლებით მიბრძანდა ციხეში. მხოლოდ ამის შემდეგ გაბედა მან ბრალდებულთა გამოძახება საკნიდან, თუმცა, როცა დაინახა ინტელიგენტური შესახედაობის, ევროპულად ჩაცმული ადამიანები, გოროდოვოები მაშინვე გაუშვა და თავისი განცვიფრება ტუსაღებს გაუზიარა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალმა მოწმემ უარი განაცხადა ოდესაში გამგზავრებაზე, ოდესაში გამოძახებული

As long as during the imprisonment of Shilakadze and the brother Gogitidzes the court case in Odessa was already finished, their case was discussed in Kutaisi: Shilakadze was sentenced a lifetime resettlement to Siberia, the brother Gogitidzes were confiscated all of their honors and responsibilities and they were sent to hard labor for 6 and 4 years.<sup>[29]</sup> The sentence under the Tsar’s court was relatively soft. If it had happened under the Bolsheviks, none of the defendants would have survived.

Chkhikvishvili was resettled in Siberia, in the Kerensky Oblast of Yakutsk Province. There he met with his future wife, a revolutionary from Vladikavkaz, Nadezhda Kaloeva. Regardless of their different ideological positions – husband was a Menshevik and a wife – left-wing revolutionary Social-Democrat (SR).

**Once, when he was a Mayor of Tbilisi, Chkhikvishvili returned home and the whole leadership of SR met him there – his wife Nadya organized such meetings at home. When he saw this, he took a phone and called Valiko Jugheli<sup>11</sup> – “I have all of the SRs at home, come and arrest them”.**

In 1912, Benia was released from prison but he remained in the resettlement until the end of 1917. In February 2017, after the fall of Tsarism, the situation in the whole Empire, including the Caucasus and Abkhazia, has changed. In these new conditions, the highest organs of the government were represented by the temporary government, Special Committee in Transcaucasia and the Public Security Committee in Sokhumi Okrug. The last one was established on 10 March 1917 and Aleksandre Sharvashidze was its head, soon he was replaced by D. Zakharov. Benia Chkhikvishvili was a de-facto head of Sokhumi city.

11. Valerian (Valiko) Jugheli (1887-1924) - Commander of the People's Guard of the First Republic of Georgia.

58 მოწმიდან გამოცხადდა მხოლოდ 13. სასამართლო პროცესმა, ისევე როგორც საქართველოში, ოდესაშიც დიდი ინტერესი და ყურადღება გამოიწვია. სასამართლოს შენობას იქ შეკრებილი ხალხისაგან პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი იცავდა. მიუხედავად მძაფრი ინტერესისა, საქმე დახურულ კარს მიღმა გაირჩა.

საქმეს გერმანულენოვანი გაზეთი „კაუკაზიშე პოსტ“-იც გამოეხმაურა ვრცელი წერილით, რომელიც განსხვავდებოდა იმ სულისკვეთებისა და დამოკიდებულებისაგან, ამავე გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ სხვა პუბლიკაციებში რომ გვხვდებოდა.

სასამართლომ ბენია ჩხიკვიშვილს 4 წლით, ნესტორ ერქომაიშვილს 6 წლით კატორღა, გიორგი მამულაიშვილს, მოსე ტულუშს, სურგულაძეს, ლომჯარიას და ტოტოჩავას სამუდამო გადასახლება მიუსაჯა, ორი ბრალდებული კი გაათავისუფლა. რაკი შილაკაძისა და ძმები გოგიტიძეების დაპატიმრებისას ოდესაში სასამართლო პროცესი უკვე დასრულებული იყო, მათი საქმე ქუთაისში გაირჩა: შილაკაძეს მიესაჯა ციმბირში სამუდამო გადასახლება, ძმებ გოგიტიძეებს ყოველივე ღირსება-უფლების ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა 6 და 4 წლით.<sup>[29]</sup> მეფის სასამართლომ მეტ-ნაკლებად მსუბუქი სასჯელი გამოუტანა ბრალდებულებს, ეს ამბავი ბოლშევიკების ბატონობის პერიოდში რომ მომხდარიყო, სავარაუდოდ, ვერცერთი მათგანი ვერ გადარჩებოდა.

ჩხიკვიშვილი გადაასახლეს ციმბირში, იაკუტსკის გურბერნიის კირენსკის მაზრაში. იქ გაიცნო მომავალი მეუღლე, ვლადიკავკაზელი რევოლუციონერი ნადეჟდა კალოევი. იმის მიუხედავად, რომ იდეურად განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ – ქმარი მენშევიკი,

The people provoked by the Bolsheviks managed to take a lead for a while, occupy Sokhumi and arrest Chkhikvishvili for 6 days. Benia wrote about this: “It was our obligation not to allow these armed people in the city but we were not capable of it. We could not do anything with 70-80 people against 1500 (they were supported by the destroyers located by the Sokhumi seaside) and for this, when the armed peasants encircled the city and started shooting on 26 March, we did everything to avoid bloodshed. We had a moral right not to allow them in the city because they were supported neither by the self-government, nor the Council of Workers’ Deputies or the locals but we did not have any other chance.”<sup>[30]</sup> Regarding the Sokhumi developments, the government of the Transcaucasia announced: “The Bolsheviks who occupied Sokhumi and Sokhumi district a few weeks ago, addressed the favorite form of government: they fully demolished the city, caused the disorganization and terrorized the population...”<sup>[31]</sup>



გაზეთი „კაუკაზიშე პოსტ“

Newspaper - Kaukasische Post

დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში Preserved at the National Parliament Library of Georgia



ცოლი კი მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერი (ესერი), ისინი მაინც უგებდნენ ერთმანეთს.

**ერთხელ, თბილისის მერობისას, ჩხიკვიშვილი დაბრუნდა სახლში და იქ ესერების მთელი ხელმძღვანელობა დახვდა – მისი ცოლი ნადია სახლში აწყობდა ესერების შეკრებებს. ეს რომ დაინახა, აიღო ტელეფონის ყურმილი და ვალიკო ჯუღელს<sup>11</sup> დაურეკა – „ყველა ესერი აქანე მყავს სახლში შეკრებილი და მოი, დააპატიმრო“.**

1912 წელს ბენია ციხიდან გათავისუფლდა, მაგრამ გადასახლებაში დატოვეს 1917 წლის ბოლომდე. 1917 წლის თებერვალში ცარიზმის დამხობის შემდეგ ვითარება მთელს იმპერიაში, მათ შორის კავკასიასა და თვით აფხაზეთშიც შეიცვალა. ახალ პირობებში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენდნენ რუსეთში - დროებითი მთავრობა, ამიერკავკასიაში - განსაკუთრებული კომიტეტი, სოხუმის ოკრუგში - საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტი. ეს უკანასკნელი 1917 წლის 10 მარტს შეიქმნა და მას ალექსანდრე შარვაშიძე ხელმძღვანელობდა, მალე იგი დ. ზახაროვმა შეცვალა. სოხუმის ქალაქის თავის თანამდებობა ბ. ჩხიკვიშვილს ეკავა.

მცირე ხანში, ბოლშევიკების მიერ პროვოცირებულმა ჯგუფებმა შეძლეს დროებით ხელში აეღოთ მართვის სადავეები, დაეკავებინათ სოხუმი და ქალაქისთავი ჩხიკვიშვილი ექვსი დღით დაეპატიმრებინათ. ბენია ამის თაობაზე წერდა: „ჩვენი ვალდებულება იყო, რომ ქალაქში არ შემოგვეშვა ეს შეიარაღებული მოტყუილებული ხალხი, მაგრამ ძალა ამისი არ შეგვწევდა.

11. ვალერიან (ვალიკო) ჯუღელი (1887-1924) – საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მეთაური.

On 9 April 1918, Seim announced the independence of the Transcaucasian Democratic Federative Republic and the government led by Akaki Chkhenkeli was approved. Of course, Abkhazia was included in the territory of the Republic of Transcaucasia. The Russian Bolsheviks did not conciliate with the idea of losing the strategic region and restoration of historical justice. In winter and spring of 1918, they attempted to occupy Abkhazia twice. In both of these cases they managed to conquer Sokhumi and establish the dictatorship rule of their temporary government - so-called “Revolutionary Committee”. The greatest part of Abkhazia became a subject to Bolshevik terror and robbery. Based on the decision of Transcaucasian Seim and the Government, the National Guards of Georgia freed Sokhumi from the Bolsheviks on 17 May in 1918. On 11 June 1918, an agreement between the Government of Georgia and the People’s Council of Abkhazia was signed, which became one of the legal foundations for returning Abkhazia under Georgia’s jurisdiction.

In the mid-June 1918, the Russian Bolsheviks carried out another attack from Sochi and came to Atoni. On the request of the member of the People’s Council of Abkhazia, Georgia sent a military unit led by General G. Mazniashvili to Abkhazia. On 19 June, General arrived in Sokhumi. Strengthened with the cavalry of 300 Abkhazians, the Georgian army started an attack on 27 June as a result of which Abkhazia was freed again.

The threat soon recurred: On 9 October 1918, the separatists, provoked by the members of White Guard, attempted to carry out a political coup in Sokhumi through violent means and an overthrow of the leadership of the People’s Council, including the head Varlam Sharvashidze. The attempt has failed. On the request

70-80 კაცით 1500-ის წინააღმდეგ (მათ მხარს სოხუმის ნაპირთან მყოფი, ბოლშევიკების მხარეს გადასული ეკიპაჟიანი ნაღმოსნებიც უჭერდნენ – ი.მ.) ვერაფერს გავაწყობდით და სწორედ ამიტომ, როდესაც ღამე 26 მარტს ქალაქს ირგვლივ ამ შეიარაღებულმა გლეხებმა ალყა შემოარტყეს და სროლა ასტეხეს, ყოველგვარი ღონისძიება მივიღეთ, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. ჩვენ გვქონდა სრული ზნეობრივი უფლება, დამცემლები ქალაქში არ შემოგვეშვა ძალით, რადგანაც მათ არც ქალაქის თვითმართველობა, არც მუშათა დეპუტატების საბჭო, არც მცხოვრებლები არ თანაუგრძობდნენ სოხუმში, მაგრამ როცა ძალა არ გვქონდა, რალა დაგვრჩენოდა მეტი.”<sup>[30]</sup> სოხუმის ამბებთან დაკავშირებით ამიერკავკასიის მთავრობა აცხადებდა: „ბოლშევიკებმა, რომლებმაც რამდენიმე კვირის წინ ხელში ჩაიგდეს ხელისუფლება სოხუმსა და სოხუმის ოლქში, მათი მმართველობის საყვარელ ფორმას მიმართეს: სრულად დაანგრეს და გააჩანაგეს იქაურობა, შეიტანეს დებორგანიზაცია, ახდენდნენ მოსახლეობის ტერორიზირებას...”<sup>[31]</sup>


1918 წლის 9 აპრილს სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დაამტკიცა მთავრობა აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით. ცხადია, აფხაზეთი ამჯერადაც ამიერკავკასიის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. სტრატეგიული რეგიონის დათმობას და ისტორიული სამართლიანობის აღდგენას არ ურიგდებოდნენ რუსი ბოლშევიკები. 1918 წლის ზამთარში და გაზაფხულზე მათ ორჯერ სცადეს აფხაზეთის დაპყრობა. ორივე შემთხვევაში სოხუმის ალება და საკუთარი დროებითი ხელისუფლების - ე. წ. „რევოლუციური კომიტეტის“ დიქტატურის დამყარებაც მოახერხეს. აფხაზეთის დიდი ნაწილი ბოლშევიკური ტერორისა და ძარცვის ასპარეზი გახდა.



ბენია ჩხიკვიშვილის ირკუტსკში გადაღებული ფოტო  
1910-იანი წლები

Benia Chkhikvishvili in Irkutsk  
1910s

ირაკლი მახარაძის კოლექცია  
Irakli Makharadze Collection



ბენია ჩხიკვიშვილის ირკუტსკის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრის ბილეთი, 1910-იანი წლები

Benia Chkhikvishvili's Irkutsk Social-Democratic Organization member card, 1910s

ირაკლი მახარაძის კოლექცია  
Irakli Makharadze Collection

ბენია ჩხიკვიშვილის  
პოლიტიკური  
გადასახლების ცნობა  
1917 წელი

Notice of  
Benia Chkhikvishvili's  
Political Exile  
1917

ირაკლი მახარაძის  
კოლექცია  
Irakli Makharadze  
Collection



ამერიკავკასიის სეიმისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, ქართულმა ეროვნულმა გვარდიამ 1918 წლის 17 მაისს სოხუმი ბოლშევიკებისაგან გაათავისუფლა. 1918 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობასა და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი გახდა.

1918 წლის ივნისის შუა რიცხვებში რუსმა ბოლშევიკებმა სოჭიდან მორიგი შეტევა განახორციელეს და ახალ ათონამდე მოვიდნენ. აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრების თხოვნით, საქართველოს მთავრობამ აფხაზეთში გენერალ გ. მაზნიაშვილის სარდლობით სამხედრო რაზმი გამოგზავნა. 19 ივნისს გენერალი სოხუმში ჩავიდა. აფხაზთა 300 კაციანი ესკადრონით გაძლიერებულმა ქართულმა რაზმმა 27 ივნისს შეტევა განახორციელა, რომლის

of the head V. Sharvashidze and the members of the Council – D. Emukhvari, I. Gogelashvili, I. Phashalidi and P. Gelovani, the Government of Georgia dismissed the People's Council of Abkhazia, arrested the conspirators and announced the elections of the representative organ. During the pre-elections campaign, Georgia had to repulse an attack of the White Guard from Sochi. The enemy occupied Gagra and entrenched near the river Bzipi. Still, on 13 February 1919, it was the first time in the history of Abkhazia when the democratic elections were held, in which the Social-Democratic Party of Georgia gained a victory.<sup>[32]</sup>

By the end of 1918 (November-December). Benia Chkhikvishvili had to return to Abkhazia and settle the situation in these difficult times. He was appointed as a Commissar of the Government of Georgia in Sokhumi district. He remained at this position until 1919. Under his leadership, the tensions were defused,

შედეგადაც აფხაზეთი კიდევ ერთხელ გათავისუფლდა.

საფრთხე მცირე ხანში კვლავ განმეორდა: თეთრგვარდიელთა მიერ წაქეზებულმა სეპარატისტებმა 1918 წლის 9 ოქტომბერს ძალადობის გზით სცადეს სოხუმში პოლიტიკური გადატრიალების მოწყობა, სახალხო საბჭოს ხელმძღვანელობის, მათ შორის თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძის გადაყენება. მცდელობა ჩაიშალა. სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ვ. შარვაშიძის და საბჭოს წევრების დ. ემუხვარის, ი. გოგელაშვილის, ი. ფაშალიდისა და პ. გელოვანის წინადადებით, საქართველოს მთავრობამ აფხაზეთს სახალხო საბჭო დაითხოვა, შეთქმულები დააპატიმრა და ამის შემდეგ წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები დანიშნა. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საქართველოს მოუხდა სოჭიდან შემოჭრილი თეთრგვარდიელების მოგერიება. მოწინააღმდეგემ გაგრა დაიკავა და მდ. ბზიფზე გამაგრდა. მიუხედავად ამისა, 1919 წლის 13 თებერვალს აფხაზეთის ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა, რომელშიც საქართველოს სოციალ დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა.<sup>[32]</sup>

ბენია ჩხიკვიშვილს, აფხაზეთში დაბრუნება და სიტუაციის დალაგება სწორედ ამ რთულ მომენტში, 1918 წლის ბოლოს (ნოემბერ-დეკემბერში) მოუხდა. იგი დაინიშნა საქართველოს მთავრობის კომისრად სოხუმის ოლქში. აღნიშნულ თანამდებობაზე ის დარჩა 1919 წლის აპრილამდე. სწორედ მის პერიოდში მოხდა დაძაბულობის განმუხტვა, კრიმინალებთან და სეპარატისტებთან წარმატებული ბრძოლა, არჩევნების ჩატარება. ბენიას წარმომადგენლად მუშაობის შემდეგ, მცირე ინციდენტებს თუ არ ჩავთვლით, მასშტაბურ გამოსვლებს აფხაზეთში ადგილი აღარ ჰქონია.

the fight against criminals succeeded and the elections were held. After Benia's working as a representatives, except for the minor incidents, there were no massive demonstrations in Abkhazia.

The attempt of the Bolsheviks overturn finished soon. After the artillery units left Sokhumi waters and the Social-Democrats mobilized their strength, the Committee for Restoration of Public Order was established under the leadership of Benia Chkhikvishvili for fighting anarchy and armed mobs. Finally, Abkhazia continued its existence under the Republic of Georgia and was not transferred to the Bolsheviks.

After his success in Sokhumi, Chkhikvishvili became one of the most influential figures of the Menshevik government. On 2 February 1919, in the elections of Tbilisi Council, Aleksandre Lomtadze was elected as a head of the city and Benjamin Chkhikvishvili as a governor of the city. The meetings of council were held in Georgian for the first time. After



ბენია მეულესთან, ნადია კალოევან ერთად

Benia with her wife, Nadezhda (Nadia) Kaloeva

ირაკლი მახარაძის კოლექცია  
Irakli Makharadze Collection

სოხუმის ამბებში მიღწეული წარმატების შემდეგ, ჩხიკვიშვილი მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთ გავლენიან პირად იქცა. 1919 წლის 2 თებერვალს გამართულ თბილისის საბჭოს არჩევნებზე, თავმჯდომარედ არჩეული იქნა ალექსანდრე ლომთათიძე, ქალაქის მოურავად – ბენიამინ ჩხიკვიშვილი, საბჭოს სხდომები კი პირველად წარიმართა ქართულ ენაზე. საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, ქვეყანაში თვითმმართველობის, თავისუფლებისა და დემოკრატიულობის ხარისხი საგრძნობლად გაიზარდა.

როცა თბილისის ქალაქისთავად (მოურავად) აირჩიეს, ჩხიკვიშვილი

the announcement of the First Republic, the level of self-governance, freedom and democracy has significantly increased in the country.

When he was elected as a governor of the city, Chkhikvishvili was in Sokhumi. He was notified about this via dispatch and he was asked to speed up his arrival to the city. The City Council established 2250 Roubles salary for the governor and 2000 Roubles for the members of the board.<sup>[33]</sup> Notably, not everyone was happy with Chkhikvishvili's appointment as a Mayor – in the opinion of the right-wing oppositionist, Spiridon Kedia, in the existing conditions, instead of Chkhikvishvili, it would be better to elect a



სოხუმში იმყოფებოდა. მას დანიშვნის ამბავი დეპუტით შეატყობინეს და სთხოვეს, დაეჩქარებინა დედაქალაქში ჩასვლა. ქალაქის საბჭომ მოურავს ხელფასად 2.250, ხოლო გამგეობის წევრებს 2.000 მანეთი დაუნიშნა.<sup>[33]</sup> აღსანიშნავია, რომ ყველას არ მოსწონდა ჩხიკვიშვილის მერად დანიშვნა – მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერის, სპირიდონ კედიას აზრით, არსებულ მძიმე ვითარებაში თბილისის მოურავად არა ჩხიკვიშვილი, არამედ „მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის, უმაღლესად განვითარებული და ქალაქის მეურნეობის ზედმინევნით მცოდნე ადამიანი“ უნდა აერჩიათ. პასუხად სოციალ-დემოკრატმა რაუდენ არსენიძემ განაცხადა: სოციალ-დემოკრატებს სჯეროდათ, რომ ჩხიკვიშვილი მათ იმედებს გაამართლებდა.<sup>[34]</sup>

როგორც აღნიშნავენ, მის დროს დედაქალაქი „საგრძობლად გაეროვნულდა და წინ წავიდა“.<sup>[35]</sup> როგორც ქალაქის თავი, ბენია დიდი მონდომებით იბრძოდა სპეკულაციის წინააღმდეგ, ყურადღებას უთმობდა ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენურ დასუფთავებას, ატარებდა ინჟექციური დაავადებებისა და ქოლერის საწინააღმდეგო აქტიურ ღონისძიებებს<sup>12</sup>. მაგალითად, გაზეთი „ერთობა“ (8 აგვისტო, 1919) იუწყებოდა, რომ ქალაქისთავმა ბენიამინ გრიგოლის ძე ჩხიკვიშვილმა თბილისის ქუჩებში სასმელი წყლის ვედროებით გაყიდვა აკრძალაო. მისი მეცადინეობით გადაწყდა, ღარიბებისთვის მოწყობილიყო უფასო აბანო და ნომერ პირველ საავადმყოფოში სახადიანი

12. გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (29 ივლისი, 1919) გამოქვეყნდა ბენია ჩხიკვიშვილის მოწოდება: „ქალაქში უკვე იყო ხოლერის შემთხვევა. უკვე სიციხე იწყება და შვიძლებსა ხოლერის ეპიდემიამაც იფეთქოს, იცოდეთ, რომ ეხლანდელ პირობებში, საუკეთესო საშუალება ხოლერის წინააღმდეგ არის აცრა. ვაკცინაციები დამზადებულია ქალაქთა კავშირისა და სამხედრო მედიცინის ლაბორატორიაში და გადასინჯულია სპეციალური კომისიის მიერ. ეს აცრა უვნებელი და უმტკივნეულოა. მოქალაქენო! აიცარით ხოლერა, ურჩიეთ აცრა თქვენს ნაცნობებსაც, ამით თქვენ დაიფარავთ თქვენ თავსაც და ახლობლებსაც საშინელი ავადმყოფობისაგან“.

“determined, highly-developed and educated person in the city economy”. In a response, Social-Democrat Razhden Arsenidze said: Social-Democrats believed that Chkhikvishvili would meet their expectations.<sup>[34]</sup>

As often mentioned, under his leadership, the capital “became significantly national and progressive”.<sup>[35]</sup> While Benia actively fought against speculations, he also paid a lot of attention to the hygiene of the city, carried out activities against infection diseases and Cholera.<sup>12</sup> For instance, newspaper “Ertoba” (8 August 1919) reported that the governor of the city, Beniamin Chkhikvishvili banned selling drinking water in pails in the streets. Through his work, it was decided to create a free bathroom for the poor and allocate 120 beds for the infected at the N1 Hospital.<sup>[36]</sup>

He started the eradication of crime, especially those committed by the high officials and militia. “The measures taken



**ბენია ჩიკვიშვილის შარჟი:**

რომელი სჯობია? სამხედრო მინისტრობა თუ ქალაქისთაობა?

**Cartoon of Benia Chikvishvili:**

Which one is better? War ministry or heading the city?

**ფოტო ინტერნეტიდან**  
Photo from the Internet

პაციენტებისთვის გამოყოფილიყო 120 სანოლი.<sup>[36]</sup>

მან ენერგიულად მიჰყო ხელი სამართალდარღვევების აღმოფხვრას, განსაკუთრებით, თუ ამას ჩინოვნიკები და მილიციის მუშაკები სჩადიოდნენ „ჩემსა და მილიციის უფროსის (ვალოდია სულაქველიძე – ი.მ.) მიერ მიღებულმა ზომებმა ჯერ კიდევ ვერ მოიტანეს დადებითი შედეგი. ზოგიერთი მილიციონერები განაგრძობენ ძველი გზით სიარულს, იღებენ ქრთამებს და ხშირად უმიზეზოდ შეურაცხყოფენ მოქალაქეებს“.<sup>[37]</sup>

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ (19 ოქტომბერი, 1919) ცნობით, თბილისის თვითმმართველობის სხდომაზე ქალაქის მოურავმა ბენია ჩხიკვიშვილმა საბინაო კრიზისის გამო ქალაქიდან უსაქმური ელემენტების გასახლების საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით საბჭოს მთავრობასთან შუამდგომლობა სთხოვა. ქალაქში მწვავედ იდგა საცხოვრებელი ფართის საკითხი – ბევრ სახელმწიფო მოხელეს საცხოვრებელი ბინა არ ჰქონდა, ამიტომ ამ საკითხის გადასაჭრელად მთავრობა არაპოპულარულ ზომას – ბინების რეკვიზაციასაც მიმართავდა.

ბენია ჩხიკვიშვილის პერიოდში ქალაქი ცდილობდა სტუდენტთა ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებას, ზრუნავდა ქართულ თეატრზე.

ბენია ჩხიკვიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების შეგროვებაში. როცა ცნობილი მხატვარი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი შევარდნაძე თბილისის დუქნებსა და სამიკიტნოებში ფიროსმანაშვილის ტილოების აგროვებდა, ერთი მიკიტანს ფიროსმანის ნახატების ძვირფასი კოლექცია აღმოაჩნდა, მაგრამ მან

by me and the head of militia (Valodia Sulakvelidze) still have not brought a positive result. Some militias continue taking bribes and groundlessly assaulting citizens“.<sup>[37]</sup>

According to the newspaper “Sakartvelos respublika” (19 October 1919), at the meeting of the self-government, the governor of the city, Benia Chkhikvishvili asked the council to apply for the government to resettle the unemployed elements from the city due the housing crisis. The housing crisis in the city was acute – many state officials did not have apartments and for this, the government even employed unpopular approaches such as the requisition of the apartments.

Under Benia’s leadership, the city attempted to improve the living standards of students. He cared for the Georgian theatre even when Georgia was already occupied by Bolshevik Russia.

Benia Chkhikvishvili made a great contribution to the collection of Niko Piroshmanashvili’s paintings. When Dimitri Shevardnadze, a well-known artist and public figure, was collecting Piroshmanashvili’s paintings in Tbilisi’s shops and palaces, at the dealer’s place valuable collections of Piroshmani’s paintings was found, but he refused to sell them. Shevardnadze addressed Benia Chkhikvishvili, who threatened the dealer to close the shop. Pictures were purchased, but when the shops were taxed, the dealer

---

12. Benia Chkhikvishvili’s call was published in the newspaper “sakartvelos respublika” (29 July, 1919): “There is a case of Cholera in the city. Heat begins and the Chorea epidemic may erupt. Take into consideration that the best way to be safe from Cholera is vaccination. The vaccines are prepared in the Union of the Cities and Military Laboratory and they are checked by a special commission. The vaccination is not harmful and painful. Citizens! Get vaccinated and advice your friends to get vaccinated too. In this way, you will keep safe yourself and your loved ones too.

უარი განაცხადა გაყიდვაზე. შევარდნაძემ მიმართა ბენია ჩხიკვიშვილს, რომელიც დაემუქრა მიკიტანს, დუქანს დაგიხურავო. სურათები შეძენილ იქნა, მაგრამ როცა დუქნებს გადასახადები დაადეს, ის მიკიტანი მივიდა ჩხიკვიშვილთან და მოითხოვა გადასახადებისაგან გათავისუფლებას და უნდა ითქვას, მიაღწია კიდევ მიზანს.<sup>[39]</sup>

ტიციან ტაბიძე გვამცნობს გაზეთ „ბარრიკადის“ 1922 წლის 22 იანვრის ფურცლებზე, თანაც მაშინ, როცა საქართველო უკვე ბოლშევიკური რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი: **„მაშინ ქართველ არტისტებისათვისაც არ იყო თეატრი. თუ შემდეგ ეს თეატრი აშენდა, ამის ერთადერთი მიზეზი იყო მაშინდელი ქალაქისთავი ბენია ჩხიკვიშვილი. უნდა ითქვას პირდაპირი ისტორიული სიმართლით, რომ ქართულ ხელოვნებისათვის, არავის ამდენი არ გაუკეთებია იმ დროს, როგორც ბ. ჩხიკვიშვილს. ამ ადამიანში იყო ბედნიერი გამონაკლისი, მას სძულდა მეშჩანობა, რომელიც მაშინ ძვალში ქონდა გამდგარი მმართველ პარტიას. ნამდვილი ფირალის გამბედაობით და თვითნებობით გააკეთებდა რასაც მოისურვებდა. მას უყვარდა ქართული ხელოვნება... იქნება დიდი უმადურობა ამის არ თქმა. ბ. ჩხიკვიშვილი იყო ერთადერთი შეგნებული მეცენატი ქართველ ხელოვანთა. ყოველ იუბილეზე ის გამორჩევა დონ-კიხოტის ფიგურით და ყველაზე დიდი საჩუქარი და აღტაცებული სიტყვა მისი იყო“.**

„თეატრი და ცხოვრების“ (#8, 1919) წერილიდან ვიგებთ, რომ აფხაზეთში მოღვაწეობისას ბენია „ძლიერ ეხმარებოდა“ ქართული ხალხური სიმღერების შემკრებსა და პოპულიზატორს, ლოტბარ ძუკუ ლოლოვას, რომლის გუნდისთვის მან შეიძინა „22 ხელი ტანისამოსი“.


approached Chkhikvishvili and demanded him to be exempted from taxes and he had achieved his goal.<sup>[38]</sup>

Famous poet, Titsian Tabidze reports about this in the newspaper “Barrikadi” (22 January 1922): **“Then the theatre was neither for the Georgian artists. If the theatre had been built, the only reason for this was the city governor, Benia Chkhikvishvili. It should be said that nobody had done so much for the Georgian arts by that time as Benia Chkhikvishvili did. This person was the only exception, he hated vulgarity, deep-rooted in the leading party. He bravely accomplished what he wanted. He loved the Georgian arts... Not saying this, would be a great ingratitude. Benia Chkhikvishvili was the only patron of the Georgian artists. At every jubilee, he used to come as Don Quixote and his word was the greatest present”.**

From the letter of “Theatre and Life” (N8, 1919), we learn that while living in Abkhazia, Benia actively helped the collector of the Georgian folk music, Dzuku Lolua. For his group, Benia bought “22 pieces of clothes”.

Emile Vandervelde, the founder of the Belgian Socialist Party and the Minister of Justice and State, who traveled to Georgia in 1920, mentioned: **“It is being said that people are formed through religion, language and race. The Georgian Church has never backed off in front of the Russian synod. The language managed to resist the Russification. ¾ of every 100 citizens is ethnically Georgian and when I want to remember their proud, brave and beautiful visual, I look at the photo which the head of the city (Chkhikvishvili) gave to me in which he is dressed in national clothes next to the Caucasian border column”**<sup>[40]</sup>





1

**მაღლა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა**  
რუსთაველის გამზირზე მოემართება მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები (1920 წელი)

**Above: Celebration of the Independence Day of the Democratic Republic of Georgia**  
Second International Delegation and Government of Georgia to Visit Rustaveli Avenue (1920)

**მარჯვნივ: თბილისი პირველი რესპუბლიკის პერიოდში**  
**Right: Tbilisi during the First Republic**

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში  
Preserved at the National Archives of Georgia



2



3

---

## ბენია სუფრის თავში

---

### Benia at the top of the table

---

ირაკლი მახარაძის  
კოლექცია  
Irakli Makharadze Collection



ემილ ვანდერველდე, ბელგიის სოციალისტური პარტიის დამფუძნებელი, ბელგიის სამეფოს იუსტიციისა და სახელმწიფო მინისტრი, რომელმაც 1920 წელს სხვა სოციალისტებთან ერთად საქართველოში იმოგზაურა, აღნიშნავდა: „**ნათქვამია, რომ ხალხს რელიგია, ენა და რასა აყალიბებს. საქართველოს ეკლესიას რუსეთის წმინდა სინოდის წინაშე უკან არასდროს დაუხევია. ხალხურმა ენამ რუსიფიკაციის მცდელობისთვის წინააღმდეგობის განევა შეძლო. ასი მცხოვრებიდან სამი მეოთხედი წარმოშობით ქართველია და როცა მსურს, მათი სინატიფე, დახვეწილი გარეგნობა, ამაყი, ვაჟკაცური მშვენიერება გავიხსენო, ვუყურებ სურათს, რომელიც თბილისის თავმა (ჩხიკვიშვილმა – ი.მ.) მომცა, სადაც იგი ეროვნულ სამოსში გამოწყობილი, კავკასიის სასაზღვრო სვეტის გვერდით დგას**“<sup>[38]</sup>

1920 წელს, ბენია ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ, გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. ის ბათუმში 1920 წლის 7 ივლისს ჩავიდა.

In 1920, after the incorporation of Batumi district, Benia was appointed as a general-governor. He arrived in Batumi on 7 July 1920.

The head of the city council appointed by the British leadership<sup>13</sup>, Maslov wrote in his memoirs: “and finally, on 4 July, they officially declared the delegation of Batumi to Georgia, regardless of numerous protests and demonstrations.

On 8 July, the English and French flags were down and the Georgian flag raised. On 10 July, the allies officially left Batumi. We were left face to face with the Georgians”. Then he continues: “Chkhikvishvili only agreed to this position with the precondition that nobody would interfere in his business at least for two months. The Georgian government appointed him in Batumi with the belief that he would dispel revolutionaries and Kartvelophobics from there by the iron fist. The government was, fortunately, not mistaken”<sup>[40]</sup>.

---

13. From November 1918 until July 1920, Britain held the mandate of governing Batumi. Britain controlled Baku deposits of oil, also the oil factories in Georgia and Batumi port. This period was called “British occupation” in the Soviet historiography. In July 1920 Britain delegated its mandate to the Democratic Republic of Georgia.

ბრიტანული ხელმძღვანელობის<sup>13</sup> მიერ დანიშნული ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე მასლოვი საკუთარ მემუარებში წერდა: „და ბოლოს, 4 ივლისს ოფიციალურად გამოაცხადეს ბათუმის გადაცემა საქართველოსთვის, მიუხედავად მრავალრიცხოვანი გამოსვლებისა და პროტესტებისა.

8 ივლისს დაუშვეს ინგლისისა და საფრანგეთის დროშები და აღმართეს ქართული, 10 ივლისს კი მოკავშირეებმა საბოლოოდ დატოვეს ბათუმი. ჩვენ დავრჩით ქართველებთან პირისპირ!“ შემდეგ ის განაგრძობს: „ჩხიკვიშვილი ამ თანამდებობაზე დანიშნას დასთანხმდა მხოლოდ იმ პირობით, რომ არავინ არ ჩაერეოდა მის საქმიანობაში, ყოველ შემთხვევაში ორი თვის მანძილზე მაინც, ხოლო საქართველოს ხელისუფლებამ ის ბათუმში დანიშნა დარწმუნებულმა, რომ ის რკინის მკაცრი ხელით გახვეტდა ბათუმიდან და ოლქიდან კონტრრევოლუციონერებს, რუსოფილებსა და ქართველოფობებს, მთავრობა მისდა საბედნიეროდ არ შემეცდარა“<sup>[40]</sup>.

„გენერალ მდივანის<sup>14</sup> მეშვეობით მე მოვანყვე შეხვედრა (ჯერ კიდევ ვაგონში) ჩხიკვიშვილთან და განვუცხადე მას, რომ ჩემთვის ცნობილია მოსალოდნელი გასახლება, ვთხოვე მას,

---

13. 1918 წლის ნოემბრიდან, 1920 წლის ივლისამდე, ბათუმის ოლქის მართვის მანდატი პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ბრიტანეთს ეკუთვნოდა. ბრიტანეთი აკონტროლებდა ბაქოს ნავთობის საბადოებს, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნავთობსაქარ სადგურებს და ნავთობის „ევროპაში გადასაზიდ კარიბჭეს“ – ბათუმის ნავსადგურს. აღნიშნულ პერიოდს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში „ბრიტანულ ოკუპაციას“ უწოდებდნენ. 1920 წლის ივლისში ბრიტანეთმა მანდატი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას გადასცა.

14. ზაქარია მდივანი (1867-1933), ნიკოლოზ II-ის ამალის წევრი, კავკასიის მე-4 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილე.

“With the help of the general Mdivani<sup>14</sup> (already in the carriage), I organized a meeting with Chkhikvishvili and told him that I was aware of the potential resettlement. I asked him to release the prisoners to prepare for the travel. Chkhikvishvili – a tall, thin man with exhausted face and Russian beard, a true social democrat – was listening and looking at me. When I finished, he asked: - Yes, yes. Haven't we met before? – In 1906, I was a secretary of the chamber which sentenced him the resettlement to do hard labor. Yes, in Tbilisi, in 1906: but does it have anything to do with the subject of today's meeting?

Chkhikvishvili pondered: Yes, you are right. It has nothing to do with it. As for the list, I will show it to you”.

Benia released the prisoners and gave them an opportunity to pick up their baggage (linen, clothes and money). As for the furniture and the other belongings, including more than 50 carpets, Maslov was not allowed to take them.

For restoring order, Benia took a “strong hand” Valodia Sulakvelidze to Batumi from Tbilisi. Sulakvelidze accompanied Benia everywhere – he was a head of the police in Kutaisi, head of the frontier rearguard in Sokhumi, general governor of railways, etc. He settled the situation everywhere”. But he had to stay for a while.

After the district and city police administrations of the English governor were transferred to the Ministry of Internal Affairs of Georgia, Batumi district was divided into five police areas that were ruled by the police commissars. 330 militiamen worked at the Batumi Administration of Internal Affairs.

---

14. Zakaria Mdivani (1867-1933), a member of Nicolas II's retinue, the head of the 4<sup>th</sup> army corps headquarters, Deputy Minister of Military of the Democratic Republic of Georgia.

გათავისუფლებინა დაპატიმრებულები, რათა მათ შესძლებოდათ მომზადება გასამგზავრებლად. ჩხიკვიშვილი – მაღალი, გამხდარი, გატანჯული და დაქანცული სახით, გრძელი რუსული წვერით, ნამდვილი სოც-დემ. ტიპი. ყურადღებით მისმენდა და დაჟინებით მიყურებდა. როცა დავამთავრე, მკვეთრად მკითხა:

- დიახ, დიახ. განა ჩვენ ადრე არ შეხვედრივართ ერთმანეთს?! – 1906 წელს მე ვმდივნობდი თბილისის სასამართლოს პალატის იმ შემადგენლობას, რომელმაც მას მიუსაჯა გადასახლება კატორღაში, დიახ, თბილისში, 1906 წელს: მაგრამ ამას ხომ არა აქვს შეხება ჩემს დღევანდელ შეხვედრის საგანთან?

ჩხიკვიშვილი ჩაფიქრდა: დიახ, თქვენ მართალი ხართ, არა აქვს კავშირი. რაც შეეხება სიას, მე თქვენ გაჩვენებთ მას”.

ბენია ჩხიკვიშვილმა გაათავისუფლა დაპატიმრებული ბოლშევიკები, მისცა მათ საშუალება, მოესწროთ ბარგის (თეთრეულის, ტანსაცმლისა და ფულის) შეგროვება. რაც შეეხება ავეჯს და სხვა ნივთებს, მათ შორის 50-ზე მეტ ხალიჩას – მათი წაღების უფლება მასლოვს არ მისცეს.

წესრიგის დასამყარებლად ბენიამ თბილისიდან ბათუმში წაიყვანა „ძლიერი ხელი“ ვალოდია სულაქველიძე. ბენიას სულაქველიძე ყველგან მიჰყავდა თან – ქუთაისში მილიციის უფროსად, სოხუმში ფრონტის ზურგის ხაზში, რკინიგზების გენერალ გუბერნატორად და ა.შ. ის ყველგან „ალაგებდა სიტუაციას“. თუმცა ბათუმში მას ცოტა ხნით მოუწია დარჩენა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს გადაეცა ინგლისელი გუბერნატორის სამოქალაქო, საოლქო

There was approximately the same number of militiamen at the Batumi district militia<sup>[41]</sup>

Before arriving to Batumi, Chkhikvishvili announced that there was no place for the enemies of Georgia in Batumi and the anti-state activities would be unacceptable.[42] The situation in Batumi was very difficult at that time. According to the newspaper “Batomis purtseli” (N26, 1920), “There is so much evil in our region, so much poison is poured and so many people are poisoned, that we need giant measures for the recovery in order to awake the district, open its eyes and make it stand on the right track”. On 26 July 1920, Chkhikvishvili issued an order about the “order in the city”. According to it, those who would not submit to the government and breach the law, would be strictly punished. Militia together with army started patrolling the city and it gave a result – the criminal situation improved. Moreover, the government of Batumi district attacked all of the parties and organizations that held a anti-state position, mostly, this concerned the Bolshevik Party. Many of its representatives were in the city and were organizing the activities aimed at undermining the government. The government additionally issued an order “about the eradication of anti-state activities”, which concerned the activities of the Bolsheviks – they disgraced the government of Georgia, spread proclamations in the society and facilitated the chaos. The Bolsheviks expressed a protest over the implemented measures and their delegation visited Benia. During their meeting, they told him that with this order, Georgian breached the agreement between Russia and Georgia signed on 7 May 1920.<sup>15</sup> The Batumi commissar

15. On May 7, 1920, an agreement was signed between Soviet Russia and the Democratic Republic of Georgia recognizing Georgia's independence de jure.

და ქალაქის მილიციის სამმართველოები, ბათუმის ოლქი დაიყო ხუთ სამილიციო უბნად, რომელთაც სათავეში ჩაუდგნენ მილიციის კომისრები. ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველოში 330 მილიციელი მუშაობდა, დაახლოებით ამდენივე ირიცხებოდა ბათუმის ოლქის საოლქო მილიციაშიც.<sup>[41]</sup>

ბათუმში ჩასვლამდე ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მტრებს ბათუმსა და მის ოლქში არ ექნებოდათ ადგილი და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები დაუშვებელი იქნებოდა.<sup>[42]</sup> იმ დროს კი ბათუმში ძალიან მძიმე ვითარება იყო. გაზეთის „ბათუმის ფურცელი“ (№26, 1920) სიტყვებით: „იმდენი ბოროტებაა ჩვენს მხარეში დაბერტყილი, იმდენი შხამია დანთხეული და ისე რიგათ არის ხალხი მოწამლული, რომ აქ ჩვენ გიგანტური გამაჯანსაღებელი ზომები გვჭირდება, რომ ოლქი გონს მოვიყვანოთ, თვალი აუხილოთ და საერთოდ სწორცნობიერების გზაზე დავყენოთ“. 1920 წლის 26 ივლისს, ჩხიკვიშვილმა გამოსცა ბრძანება „ქალაქში წესრიგის“ შესახებ. ბრძანების მიხედვით, ვინც არ დაემორჩილებოდა ხელისუფლებას და მართლწესრიგს დაარღვევდა, მკაცრად დაისჯებოდა. მილიციამ გვარდიელებთან ერთად დაიწყო პატრულირება და ამან შედეგი გამოიღო – კრიმინალური მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამასთან ერთად, ბათუმის ოლქის ხელისუფლებამ გაილაშქრა ყველა იმ პარტიისა თუ ორგანიზაციის წინააღმდეგ, ვისაც ანტისახელმწიფოებრივი პოზიცია ეჭირა, განსაკუთრებით ეს შეეხო ბოლშევიკურ პარტიას, რომლის წარმომადგენლები ბლომად იყვნენ ბათუმის ოლქში და ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ. ხელისუფლებამ „ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ“ დამატებით გამოსცა ბრძანება, რომელშიც საუბარი იყო იმ ქმედებების შესახებ, რასაც ბოლშევიკები

responded that it was the Bolsheviks who violated the agreement as they facilitated the disorganization in the society and carried out undermining activities. This was followed by the series of arrests after which many Bolsheviks were resettled from Batumi district.<sup>[43]</sup>

During Benia's governance in Batumi, an interesting meeting was held. A great number of Russian intelligentsia, fled away from the October Revolution, gathered in Georgia. One of them was a poet Osip Mandelstam<sup>16</sup>, who came to Batumi but was arrested as a doubtful person. Titsian Tabidze and Nikoloz Mitsishvili addressed Benia Chkhikvishvili to release him. Chkhikvishvili ordered to bring Mandelstam to him, remembered Mitsihvili: "A toothless, bald, short and thin man entered who was wearing torn up shoes, dirty shirt and wretched trousers. It was a biblical scene. Chkhikvishvili looked at him, turned to us and said: "I thought he was a man and what a terrible thing he is..." Then he offered him a seat politely and diplomatically found out that he was truly a poet and apologized".

Following Chkhikvishvili's order, "Mandelstam received money needed for his clothes and living for a month".<sup>17 [44]</sup>

In February 1921, before the start of the war with Russia, Benia Chkhikvishvili was appointed as a general-governor of Eastern Georgia. On 19 February, he addressed the citizens:

---

16. Osip Mandelstam (1891-1938) – Russian poet of Jewish origins, prosaist and translator. One of the greatest Russian artists of the XX century. A friend of the Georgian "tsisperkantslebi". He has translated many of their works. After the numerous arrests and resettlement, in 1938, during Stalin's terror, he died with Typhus while being resettled.

17. In his memoirs, Mandelstam does not remember the Georgian poets and he gives credit for his audition to Benia Chkhikvishvili to the editor of the Russian newspaper.

სჩადიოდნენ, სახელს უტეხდნენ  
საქართველოს მთავრობას,  
მოსახლეობაში ავრცელებდნენ  
პროკლამაციებს და თესდნენ  
არეულობას. ბოლშევიკებმა მიღებულ  
ზომებზე პროტესტი გამოთქვეს და  
მათი დელეგაცია ბენია ჩხიკვიშვილს  
ენვია. შეხვედრისას მას მოახსენეს,  
რომ ამ ბრძანებით ირღვეოდა  
რუსეთ-საქართველოს 1920 წლის  
7 მაისის ხელშეკრულება<sup>15</sup>, რაზეც  
ბათუმის კომისარმა უპასუხა, რომ  
ხელშეკრულებას ბოლშევიკები  
არღვევდნენ, რადგან ხალხში შექონდათ  
დებორგანიზაცია და ეწეოდნენ  
ძირგამომთხრელ საქმიანობას. ამას  
მოჰყვა დაპატიმრებების სერია,  
რის შემდეგაც მრავალი ბოლშევიკი  
გაასახლეს ბათუმის ოლქიდან.<sup>[43]</sup>

ბენია ჩხიკვიშვილის ბათუმის  
გენერალ-გუბერნატორად ყოფნისას  
ერთი საინტერესო შეხვედრა შედგა:  
ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ  
საქართველოში თავი მოიყარა რუსეთის  
ბოლშევიკურ ქაოსს გამოქცეულმა  
რუსული ინტელიგენციის დიდმა  
ნაწილმა. ერთ-ერთი მათგანი  
იყო პოეტი ოსიპ მანდელშტამი<sup>16</sup>,  
რომელიც ბათუმში ჩავიდა, მაგრამ,  
როგორც საეჭვო პირი, დააკავეს. მის  
გასათავისუფლებლად ტიცინ ტაბიძემ  
და ნიკოლო მინიშვილმა გუბერნატორ  
ბენია ჩხიკვიშვილს მიმართეს.  
ჩხიკვიშვილმა ბრძანა მანდელშტამის  
მიყვანა, – იგონებდა მინიშვილი,  
– „შემოვიდა კბილებჩაცვენილი,

15. 1920 წლის 7 მაისს, საბჭოთა რუსეთსა და  
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას  
